ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ — ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲡᲗᲘᲡ 4 1919 Წ. № 239 — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲛᲐᲜ.

გაზეთის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვის ვადით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ერთხელ 60 მან. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; საფოსტო მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; სადეპეშო მისამართი: — თბილისი „საქართველო“.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 15—73.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ

დღეს, გიორგობისთვის 4-ს დაიდგმება სალონის გამოჩენილი კინო-დრამა — შთაგონებული ცნობილი რომანსით

ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲚᲐᲛᲐᲖ ᲥᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

6 დიდ ნაწილად.

ახალ როლებში კეკლუცი ᲖᲝᲘᲐ ᲥᲐᲠᲐᲑᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ და ᲡᲢᲠᲘᲐᲒᲔᲕᲡᲙᲘ.

ანსენიროვკა გიუ დე-მოპასსანის რომანი „სიკვდილზე ძლიერ“

დადგმა ᲞᲠᲝᲢᲝᲖᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ

1-ლ სეანსის დასაწყისი 5 ნახ. ს.

ᲞᲚᲔᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, 91 ᲡᲐᲮ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢ. ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

კვირა, გიორგობისთვის 9.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲑᲐᲠᲜᲝᲕᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

(1 უ.)

დღეს ᲙᲘᲜᲝ ᲞᲐᲚᲐᲡᲘ დასაწყისი დემონსტრ. გრანდიოზულ დადგმისა.

ეპოქები 1-ლი 2-ე (7 ნაწ.) ედმონდ დანტესისა

მსოფლიოში ცნობილ ფირმის „ძმ. პატე“ ახალი გამოცემა. სერია „ფილმ და არა“. შედევრი თანამედროვე კინემატოგრაფიისა.

ᲒᲠᲐᲤ ᲛᲝᲜᲢᲔ-ᲙᲠᲘᲡᲢᲝ 8 ეპოქად

ა. დიუმას უკვდავ რომანით. პარიზულ თეატრების საუკეთესო ძალთა მონაწილეობით. დაწვრილებით პროგრამებში.

მუსიკ. ილუსტრაცია ცნობილ იმპროვიზატორის ნ. ხელთაკოვისა

სეანსების დასაწყისი კვირას 5 ს. ისე დღეებში 6 საათზე

კვირას, გიორგობისთვის 2-ან ᲐᲞᲝᲚᲚᲝ ორიგინალური დადგმა.

„ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ“ სახელგანთქმული ოპერეტტა-შარჟი—ეკრანზე.

ᲘᲕᲐᲜᲝᲕ ᲞᲐᲕᲔᲚ

3 რაპსოდიისა. ავტორის სცენარიითა და მონაწილეობით. ვოკალურ ნაწილის დადგმა ზლობოვისა.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲚᲣᲖᲘᲐ! ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ!

ვისაც კი უნახავს „ივანოვ პაველ“ სცენაზე მან უნდა ნახოს იგი ეკრანზეც!

ᲖᲐᲠᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ლამაზი ლეგენდა 2 ნაწილად.

კინო-თეატრი ოლღის ქუჩა № 3. ფოლმა

დღეს ჩვენს ეკრანზე ულამაზესი ქალი ევროპისა, ცნობილი და შეუდარებელი

ᲜᲘᲜᲐ ᲛᲔᲜᲘᲩᲔᲚᲚᲘ

თვალწარმტაც დრამაში

ოქროსული დალალი

4 ნაწილად

მოსამსახურე № 3. მხიარული კომედია 2 ნაწ. [illegible] მონაწილეობით

1 ᲮᲐᲠᲘᲡᲮ. ᲙᲐᲤᲔ-ᲞᲐᲠᲘᲖᲘ 1 ᲮᲐᲠᲘᲡᲮ.

დამფუძნ. კრების ქ. (ყოფ. სასახლის ქ.) ქართულ კლუბის ქვეშ.

ყოველ დღე: ᲡᲐᲣᲖᲛᲔ, ᲡᲐᲓᲘᲚᲔᲑᲘ, ᲕᲐᲮᲨᲛᲔᲑᲘ.

სურსათი უაღრეს ღირსებისაა. მზადდება მხოლოდ კარაქზე.

ᲡᲐᲓᲘᲚᲔᲑᲘ პურით 2 თავი 15 მან.

„ „ 3 „ 20 „

ყოველ დღე მზადდება აზიური საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული. საგანგებოდ გამოწვეულია იმერეთიდან ცნობილი მზარეული. მოწყობილია ცალკე კაბინეტები წვეულებისათვის

ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲐᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐᲗ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ.

რესტორანი ღიაა ღამის 2 საათამდე

პატივისცემით ვარ. გვათუა.

უზრუნველყოფილი ხართ თუ არა ამ ზამთარს სათბობით?

ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲗ ᲥᲕᲐ-ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ — ᲨᲔᲨᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ.

ქვა ნახშირი ორჯერ მეტად ძალის სითბოსაა ვიდრე საუკეთესო ხარისხის შეშა და ამასთანავე ჯდება იაფადაც. იხმარება გერმეტიულ და სამზარეულო ღუმელებში. შეკვეთა მიიღება როგორც დიდი ისე პატარა პარტიებით. მოითხოვეთ მხოლოდ ტყიბულის ქვა-ნახშირი, ნუ შეურევთ იაფ გელათურ ქვა-ნახშირს. ჩვენი ქვანახშირის მიღება მხოლოდ შეიძლება ვაჭრობა მრეწველობის სააგენტოში ინჟინერ ციციშვილთან და ამხანაგობასთან. კონტორა გრიბოედოვის და კრუზენშტეინის კუთხე.

საწყობთა მისამართი: 1) კუკიის შესახვევში № 5 და 2) მუხრანის—№ 25. ჩვენ სუბ-აგენტთან ტერ-პოღოსიანთან, ტელ. № 11—45.

მსურველთ ქვა-ნახშირს სახლშიც მიუზიდავთ.

215 10—4

მედ. ცინის დოქტორი

ბ. ა. ახვერდიევი

ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. 1-მდე საგანგებოდ ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.

50—2559—1

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ოპერა ᲔᲕᲚᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ხელმძღვანელობით.

დღეს, გიორგობისთვეს 4 ს

ᲐᲘᲓᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ

ოთხშაბათს, 2 გიორგობისთვეს 1919 წელს

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲘᲡ „ᲢᲘᲠᲢᲝᲡ“ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

„ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“

კომ. 3 მოქ. კოსოვრატოვისა.

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲘ.

ადგილების ფასი 8 მან. 10 მანეთამდე.

რეჟისორი—ა. ა. ტუგანოვი. ✕ დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

234 კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 2—1

ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ,

რომ სამშაბათიდან, გიორგობისთვის 4 ს დილის 10 საათ., ლატარიის გათამაშება გაგრძელებულ იქნება ქართულ კლუბის სათეატრო დარბაზში.

232 1—1

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ

ოთხშაბათს, 3 გიორგობისთვეს

ᲚᲝᲢᲝ

მომგები მიიღებს ფულად 70 პროცენტს.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

1. ქართველ მხატვართა საზოგადოება ჰმართავს მხატვართა საერთო გამოფენას.

2. გამოფენაზე მონაწილეობის მიღება შეუძლიან საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მხატვარს.

3. გამოფენაზე მონაწილეობის მიღების მოსურნე მხატვარი ვალდებულია ჩაეწეროს განსაკუთრებულ სიაში საზოგადოების ბინაზე (რუსთაველის პრ. № 13.) გიორგობ. 4—10-მდე 5 საათ. 7 საათამდე. ა) კომისიის მიზანია შეძლება მისცეს მხატვართ გამოფენაზედ შეჯგუფებისა მიმართულების მიხედვით.

4. გამოფენისთვის სურათები მიიღება გიორგობისთვის 10—15 მდე დილის 12 საათ.—2 საათ.

5 ვერნისაჟი დღე გამოცხადდება საგანგებოდ. ა) საგანგებო მოწვევის ბარათები მხატვრებს არ დაეგზავნებათ.

გამოფენის მომწყობ კომისიის თავმჯდომარე შ. ქიქოძე.

მდივანი დ. შევარდნაძე.

(3—233—1)

ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს, რომ კლუბის წევრთა საგანგებო კრებამ 5 ღვინობისთვეს

დანიშნა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიები

კლუბის წევრთა შვილებისათვის.

განცხადებები სტიპენდიების მიღების შესახებ სათანადო მოწმობებით მიიღება კლუბის კანტორაში 7 გიორგობისთვეს.

227 2—2

ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ „ᲢᲐᲨᲘᲠᲘ“ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ

(ხესხმა—ხოტბა)

„ეკონომია“ —სასადილოსა
დღეს დაიფუფლა ძველი ტაშირი
ამერ იმერთა ევროპის სუფრამ
აქ ერთმანეთში შეჰკრა კავშირი.

ტაშის, ზეიმის სასადილოა
ახლად გახსნილი ჩვენი „ტაშირი“
ყველა წოდების ყველა დარბაისელთა
აქ იმართება ლრეობა ხშირი.

პუშკინისეულ ბაღის პირდაპირ
ღამით და დღისით ბრწყინავს „ტაშირი“
და რა ნება აქვს ყველა ქართველსა
ამ ძველ „ტაშირში“ „დასწვას ნახშირი“

როგორც მუდმივ მასპინძელი
გირჩევთ დაჰედოთ ძველებურ „ტაშირს“
და გეფიცებით ვიცავს დაანებებთ
სხვა რესტორანთან სიარულს, კავშირს.

212 4—4 სტუმარი

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲖᲔ

როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად მავნებელი გამოდგა მთავრობის შედგენის ის წესი, რომ რამდენიმე პორტფელი ერთი მინისტრის ხელში დაგროვილიყო. ორი მოსაზრება ედვა საფუძვლად ამ წესის შემოღებას, ერთი ეკონომია, მეორე მართველობისთვის მეტი მოქნილობის მიცემა. ფიქრობდენ, რომ ხაზინას თვეში დაეზოგებოდა რამდენიმე ათეული ათასი მანეთი და რომ მთავრობის მოქმედება უფრო სწრაფი და შეწყობილი იქნებოდა; ამ უკანასკნელში დარწმუნებული იყვნენ, ვინაიდან, მინისტრთა რიცხვის შემცირების გამო, ყველა სამინისტრო პირის აყვანა იმ ვიწრო წრიდან შეიძლებოდა, რომელიც სოც.-დემოკრატიულ პარტიას ბელადობდა და სადაც პირადული დაახლოვება და ინტიმური თანამშრომლობა წლობით იყო განმტკიცებული. ასეთ პირობებში საჭირო არ იქნებოდა მინისტრის ძებნა არამც თუ უცხო წრეში, არამედ საკუთარი პარტიის ფართო ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, იდეალური მუშაობის და ერთსულოვნების პირობები უნდა შექმნილიყო ქვეყნის მართველობის სათავეში, რაიც, თავის მხრივ, იდეალურს, აღსრულებას დაამყარებდა ყველა ქვემო სართულშიაც. პირველი მოსაზრება სრულიად უბადრუკია. სასაცილოა მმართველობის მაღალ ნაყოფიერობის საზარალოდ ათეული ათასი მანეთის ეკონომიაზე ლაპარაკი იმ რესპუბლიკაში, სადაც მილიონები სრულიად უთავბოლოდ იხარჯება. მეორე მოსაზრებაც არ გამართლდა, ეს იმიტომ რომ საქმეში არ იქნა მიღებული ერთი დამახასიათებელი გარემოება ჩვენი სინამდვილის, სახელდობრ რომ არც ერთი სამინისტრო პირი გამოცდილი არ იყო, რომ საქმის ცოდნა არც ერთ მათგანს არ ჰქონდა და რომ ასეთი პირობებში გენიოსიც რომ ყოფილიყო, რამოდენიმე სამინისტროს კი არა, წესიერად ერთსაც ვერ გაუძღვებოდა. დიდი მიზანი და პასუხისმგებლობა აწევს საქართველოს მინისტრს, — ეროვნული სახელმწიფოს შექმნა.

ასი წლის მონობამ წარსულთან ხიდი ჩაგვიქცია და ამ საქმეში პირდაპირი ტრადიციის მემკვიდრეობით ვერ ვისარგებლებდით. არც შაბლონი და სქემა იყო გამოსადეგი. სახელმწიფო სახიერება პირველად უნდა შექმნილიყო ქართველი ერის ყველა განსხვავებული თვისებისა და მასალის ნიადაგზე. ამას ცალკე დიდი შესწავლა სჭიროდა და დიდი შემოქმედებაც. ერთ კაცს ერთი დარგი რომ დაეძლია, ისეც დიდი ბედნიერება იქნებოდა.

თუმც სხეული პატარა იყო, მაგრამ საქართველოს დიდი სხეულის ყველა სახელმწიფოებრივი ფუნქცია ჰქონდა და ამიტომ მაც ყოველ ფუნქციას თავისი განთვისებული ორგანო, თვისი საკუთარი აღმსრულებელი და მზრუნველი უნდა ჰყოლოდა, რომელიც დღე და ღამე მთელი თვისი პიროვნებით მას არსს, მის კეთილ მოწყობას შეალევდა. ისიც ღვთის წყალობა იქნებოდა, თუ რომ ამ პასუხისმგებლობის მაქსიმალური შეგნება და მისი სტიმულით მინისტრის ენერგიისა და ნიჭის მაქსიმალური დაჭიმვის გამოწვევა შეიძლებოდა მიკუთვნილი სახელმწიფოებრივი ფუნქციის რიგიან წარმართვას. ამის მაგიერ, სახელმწიფო საქმეებში გამოუცდელს და მისთვის, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად სრულიად მოუმზადებელს პიროვნებას, რამოდენიმე სხვადასხვა ფუნქცია დააკისრეს. რამოდენიმე პორტფელი ხელში ჩააჩჩეს.

ჯოჯოხეთის ალში ტრიალებს საბრალო ჩვენი მინისტრი. არც ერთი უწყებისთვის მას არ სცალია; ყოველთვის ერთიდან მეორეში მიეჩქარება; დარბის, იჭინთება და ბოლოს დომხალი გამოუდის. არც ერთი სამინისტრო თავის დანიშნულების სიმაღლეზე არა სდგას. თანაც არც გვაქვს საშუალება მინისტრის ნამდვილი ღირებულება დავინახოთ; არა გვაქვს უფლება

უკანასკნელი ცნობები

ნამდვილ ცნობებით, შეერთებული შტატები არადროს არ დათანხმდება ფიუმეს იტალიის ხელში გადაცემაზე.

კიევის, პოლტავის, ეკატერინოსლავის და ჩერნიგოვის გუბერნიებში დენიკინის წინააღმდეგ ამბოხებაა.

ლატვიის მენშევიკები მთავრობისგან მოითხოვენ რათა დაუყონებლივ ზავით შეეკრას საბჭოთა რუსეთს და ყველა პოლიტიკური პატიმარნი გაანთავისუფლოს.

ბრიტანიაში და სხვა ქალაქთა სამხედრო ნაწილებში დიდი არეულობაა.

ლიუბლინის, პლოცკის და ლომჟას გუბერნიის ნაწილებში დიდი გაფიცვებია.

ან უვარგისობა უკიჟინოთ, ვინაიდან ორგანიულად შეუძლებელია, რომ ჩვენს პირობებში ერთი და იგივე კაცი რამდენიმე სამინისტროს წესიერად გაუძღვეს.

შევქმენით ისეთი გარემოება, რომ შეუძლებელი გახდა, მინისტრს სერიოზულად პასუხისმგებლობაც მოეთხოვოს.

დამყარდა ისეთი პირობები, რომ შეუძლებელი გახდა სახელმწიფო მართველობის ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. არამც თუ გვიანდება სახელმწიფოს აშენებლობა და კონსოლიდაცია, არამედ ისე ზიანდება, რომ ეს კონსოლიდაცია შეუძლებელიც ხდება. ვაკმაროთ ჩვენს ქვეყანას რვა თვის დამღუპველი ექსპერიმენტი. გავშალოთ სამინისტროები და თითეულს, უმთავრესებს მაინც თავისი საკუთარი თავი გამოვაბათ; ამით მინისტრსაც საშუალება მიეცემა მთელი თვისი ძალა და ენერგია მარტოდ-მარტო თავის სამინისტროს მოახმაროს და თავისი სამინისტრო ღირსეულებაც სრულად გამოაჩინოს; და ჩვენც მეტი ზნეობრივი თავისუფლება მოგვეცემა რომ მინისტრს უფრო მკაცრად მოვსთხოვოთ პასუხი თავის სამინისტროს საქმეებში. მიუღებელია ისეთი ორგანიზაცია, რომელიც პიროვნებას ზედმეტად ტვირთავს და აუსრულებელის ძალაუნებურ ასრულებას აკისრებს. ასეთი ორგანიზაცია პასუხისმგებელ პიროვნებასაც უადვილებს მოქმედების ზერელობაში თავის მართლებას და პასუხისგების მომთხოვ ორგანოსაც ხელიდან სტაცებს მკაცრი მოთხოვნის იარაღს. ასეთ პირობებში, ვერავითარი საქმე ვერ იხეირებს. ვერ ხეირობენ ჩვენი სამინისტროებიც, ვერ ხეირობს ჩვენი სახელმწიფოც.

დროა ბოლო მოეღოს ამ ცხოვრებისგან დამარცხებულს და ჩვენს დამამარცხებელს წესს!

პრესსა

გამოვიდა პირველი ნომერი ყოველკვირეული გაზეთი „მშრომელისა“. „მშრომელი“ ორგანოა სომხეთა სარევოლუციო პარტიის „დაშნაკცუთუნის“ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის

„სოციალისტურ ინტერნაციონალის სომეხთა შტო“ თავის პირველ ქართულ გამოცემაში მეტად სიმპატიურ დაპირებებს და კეთილ განზრახვებს გვიცხადებს. მოგვითხრობს, რომ კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის განმტკიცება მოითხოვს ყველა კავკასიის ხალხთა ერთობას და შეერთებულ მოქმედებას და რომ იგი თავის მხრივ სწორედ ამას ემსახურება. ამ საგანზე გაზეთი სწერს:

„ყოველი სურვილი კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის დათრგუნვისა, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს იგი, რეაქციონურ გენერლების მხრივ, თუ სამხრეთიდან დესპოტიურ ოსმალეთიდან სულ ერთია ეს იქნება მახვილის დაცემა კავკასიის დემოკრატიის წმინდათა წმინდა უფლებებისა...

ჩვენი მოვალეობის ღრმა შეგნებით და იმ იმედით რომ კავკასიის მშრომელი ხალხი საბოლოოდ განთავისუფლდება ყოველგვარ წინათ გრძნობიდან, როგორც ნაციონალურ რელიგიურია და მოისპობა ის უთანხმოება და მწვავე დამოკიდებულება რომელიც არსებობს დღეს ჩვენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში გიწვდით ძმურ ხელს შეთანხმებულ და საერთო მუშაობისათვის კავკასიის რესპუბლიკათა სიძლიერის განსამტკიცებლად და რევოლიუციის გასამარჯვებლად საშინელ რეაქციის წინააღმდეგ“.

გაზეთის პირდაპირი მიზანი ის არის რომ სომხეთა სარევოლუციო პარტიის „დაშნაკცუთიუნის“ აზრები და სიტყვები ქართველ დემოკრატიას თვით ქართულ ენაზედ მიაწოდოს, რომ თავიდან აშორებულ იქმნას ის გაუგებრობა, რომელსაც დღემდე ადგილი ჰქონდა:

„ქართული პრესა სთარგმნიდა ჩვენი გაზეთებიდგან მას, რაც მის მიზნისთვის საჭირო იყო და აძლევდა იმ ახსნას, რასაც თვითონ ისურვებდა.

რასაკვირველია, ჩვენ უპასუხოთ არ ვტოვებდით მაგას მაგრამ ეგ პასუხი ძნელი გასაგები იყო ქართველ დემოკრატიისთვის, რადგანაც ჩვენ ვწერდით სომხურად.

გამოდიოდა ასეთი სურათი: ქართული პრესა ქართულ ენაზე გვლანძღავდა და ჩვენც არას ვაკლებდით სომხურ ენაზე.

მერე?

მერე და ის, რომ სომეხი მკითხველი ჩვენ გვიჯერებდა და ქართული მკითხველი მარტო ქართ. პრესას. სიმართლე კი სადღაც რჩებოდა დამალული, იკარგებოდა.

ეგ უბედურობა იყო ორთავ მხრით“.

ვნახოთ, თუ რამდენად პირნათლად შეავსებს ამ ნაკლს. ქართულ ბეჭვდითი სიტყვათა დაშნაკთა ხელში.

დამფუძნებელი კრება

31 ღვინობისთვის სხდომა. (გაგრძელება)

ვალიკო ჯუღელი

მოქალაქენო! მე მეგონა რომ ოპოზიცია არ მიიღებდა მთავრობის განცხადებას და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდა მთავრობას, მაგრამ დღეს სრულიად წინააღმდეგში დავრწმუნდი. ოპოზიცია, როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან კმაყოფილია მთავრობის განცხადებით, თუმცა გზა და გზა იძლეოდნენ შენიშვნებს წარსულ მოღვაწეობის შესახებ. მაგალითად ბ. სპირიდონ კედიას ჰგონია, რომ ჩვენ წინად ბოლშევიზმის წინააღმდეგ იდეურად არ ვიბრძოდით. ეს მართალი არ არის. საქართველოს პარლამენტიდან დაწყებული დღემდე ჩვენ ყოველმხრივ ვებრძოდით ბოლშევიზმს როგორც ანარქიულ მოძრაობას. მაგრამ თქვენ, (ანიშნებს მარჯვენა სექტორისკენ) სხვა რამ გაინტერესებთ, როდესაც ასეთს შენიშვნებს გვაძლევთ, უნდა იცოდეთ კი, რომ მთავრობას თქვენ ვერ გადმოგცემთ.

ბ. ლ. შენგელაიას განცხადება, — თითქოს მაქსიმალიზმი იხსნიდეს ჩვენს ქვეყანას არ არის მისაღები. მაქსიმალიზმი იყო რუსეთში, რომელიც დაამყარა ს.-რევოლიუციონერების პარტიული ფეტიშმა ვიქტორ ჩერნოვმა, და განა არ იცის შენგელაიამ თუ რა ბედი ხვდა მას?

რაც შეეხება მოძრაობის დახასიათებას „ოპერეტათ“, ესეც უკბილო ოხუნჯობაა. გაზ. „ბორბამ“ სხვა აზრით იხმარა ეს სიტყვა და არა ისე, როგორც ოპოზიცია ხმარობს. რომ შარშან ჰომხდარიყო ეს გამოსვლები დღევანდელი ფორმით, ცხადია საქმე ტრაგიკულ ხასიათს მიიღებდა; შარშან ცალ-ცალკე გამოსვლები იყო, დღეს კი მთელს რესპუბლიკაში იფეთქა აჯანყებამ. და ჩვენი სამხედრო ძალების წარმატებას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ გამოსვლები ადგილობრივ ძალებით იქნა ჩამქრალი.

მთავრობის მოქმედებაში ზოგიერთს ნაკლს ჩვენც ვხედავთ, მაგალითად საშა გეგეჭკორი, ბელადი ჩვენი მოღალატეებისა დიდი ხანია შევიპყრით და დღესაც არ არის იგი შესაფერისად გასამართლებული.

რაც შეეხება ჩვენს ინტერნაციონალურ პოლიტიკას, რასაც აქ ასე საყვედურებდენ „უსულ სიმღერების შესახებ, უნდა განვაცხადო, რომ სწორედ ამ პოლიტიკის შემწეობით ვიმარჯვებთ ჩვენ და არა გაზ. „კლდი“-ს თანამშრომელთა გმირობით. (ტაში).

შალვა მესხიშვილის (ს. ფ.) შეკითხვა.

შ. მესხიშვილი. ბატონებო, მე მეგონა უფრო სხვანაირ, მშვიდობიან ხასიათს მიიღებდა კამათი, ვიდრე აქ მოვისმინე. მთავრობის განცხადება სხვა მხრივ უნდა ყოფილიყო განხილული:

რად დასჭირდა ბ. მინისტრს დამფუძნებელ კრებაში გამოტანა იმისა, რაც ჩვენც და ხალხმაც, ერთსულოვნად მივანდევით მთავრობას. რა საჭიროა დღეს იმ ნდობის დადასტურება რასაც მთელი ხალხი ჰგრძნობსა და ჰფიქრობს.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს უფლებრივ ხასიათს უკარგავს: ჩვენ ვიცით, რომ მოხალისეებმა რუსეთში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლობა გააუქმეს. ვეკითხები მინისტრს: რა იურიდიული მოსაზრებით, რომელი საერთაშორისო უფლების ძალით იმყოფება ამ ფაქტს შემდეგ საქართველოში დენიკინელთა მისია? რით უნდა გავამართლოთ ის გარემოება, რომ დენიკინის აგენტები თბილისის ქუჩებზე თავისუფლად დასეირნობენ?

მინისტრ ნ. რამიშვილის პასუხი.

ნ. რამიშვილი. ბ. მესხიშვილის შეკითხვის გამო უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ დემოკრატიულ სახელმწიფოების წარმომადგენლები და მონარქიულ სახელმწიფოების კი არა. სახელმწიფოს წარმომადგენელთა განაწილებაში ასეთი შერჩევა არ არსებობს.

რაც შეეხება ჩვენი ადმინისტრატიულ ზომების „ოპერეტად“ მონათვლას, არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ საქმე, უფრო სერიოზულ ხასიათის იყო, ვიდრე ეს აქ ჰგონიათ. მაგალითად მე თქვენ წაგიკითხავთ ფოთის მე-11 სამილიციო უბანში მიცემულ ჩვენების ქაღალდს, საიდანაც აშკარად სჩანს დიდი გეგმა მეამბოხეთა. ჩვენების ავტორი გვაუწყებს, რომ მეამბოხეთა რიცხვი 500 აღწევდა, მათ განკარგულებაში ყოფილა 18 ტყვია-მფრქვეველი, 300 სამ ხაზიანი თოფი. მეამბოხენი უნდა შეკრებილიყვნენ ს. ნაბადაში შეუმჩნევლად და შემდეგ დაეკავებინათ ნავთსადგური და რამოდენიმე ხომალდი.

ასეთი დიდ გეგმით აპირებდენ ისინი ფოთში გამოსვლას და რომ მათ ეს დასცლოდათ მაშინ ნახავდით „ოპერეტა“ იქნებოდა თუ ტრაგედია.

საშა გეგეჭკორის შესახებ შემდეგი უნდა განვაცხადო: ჩვენ შევიპყრით ის და სასამართლოს გადავეცით. გასამართლება კი, ჩვენი საქმე არ არის. ვფიქრობთ, რომ გეგეჭკორი ღირსეულ სასჯელს მიიღებს. **ხმა კედია** (ადგილიდან) არ გაუშვებენ კი?

რ. არსენიძე (ს.-დ).

მოქალაქენო! ჩვენმა მთავრობამ საოცარის სისწრაფით ჩააქრო ანარქია, მაგრამ ოპოზიციას მაინც მოაქვს იერიშები მარცხნიდან და მარჯვნიდან.

ხ. კედია. რა გეშველებოდათ, რომ მემარჯვენეები არ გყავდეთ.

რ. არსენიძე. ლ. შენგელაიას ჰგონია, რომ მაქსიმალიზმის შეთვისებით იხსნით ქვეყანას. რუსეთი დააქცია მაქსიმალიზმმა და ასეთ ექსპერიმენტს ჩვენ ვერ მოვახდენთ საქართველოში.

ეუაზავა გვირჩევს ნაციონალისტურ პოლიტიკის წარმოებას, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ძველი რუსეთი სწორედ ამ პოლიტიკამ დაღუპა.

ჩვენ ვიბრძვით, ჩვენი დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივობისათვის.

ნ. ნიკოლაძე (ადგილიდან). თქვენ ყოველთვის სახელმწიფოს ებრძოდით.

რ. არსენიძე. ჩვენ არ ვებრძოდით დემოკრატიულ სახელმწიფოს.

ნ. ნიკოლაძე (ადგილიდან). თქვენ ყოველგვარ სახელმწიფოს ებრძოდით.

რ. არსენიძე. როგორც ოპოზიცია ჰფიქრობს, ეს არ იყო უბრალო „ოპერეტა“. ოპერეტად ის გახადა მთავრობის სასწრაფო ზომებმა და ეს უნდა აღენიშნათ ჩვენი მთავრობის სასახელოდ. მე მაქვს ერთ-ერთი ბოლშევიკის წერილობითი საბუთი, საიდანაც აშკარად სჩანს გრანდიოზული გეგმა გამოსვლისა. წერილიდან ისიც სჩანს, რომ სამეგრელოს კომუნისტურ ორგანიზაციისათვის ბოლშევიკებს 50,000 მანეთი გადუგზავნიათ. რომ დროზე არ მოგვესწრო, მთელი რესპუბლიკა წაილეკებოდა.

ნიკო ნიკოლაძის სიტყვა

ბატონებო! მე მინდა ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ ამ საქმის შესახებ ჩემი აზრი.

მიკვირს, რომ ყველგან და ყველაფერში პარტიულ განხეთქილებას, პარტიულ შუღლს ვქმნით? ეს გზა პოლიტიკური და იდეური ბრძოლისა ძველია ეს ცხადი უკვე ანარქრონიზმია. ნუ თუ არ არის დრო, რომ ახალ სოციალ პოლიტიკურ პირობებს შევეგუოთ და დროის შესაფერისად ვიმოქმედოთ.

რა საჭიროა ეს გაცვეთილი და დრო მოჭმული იკნელობა.

ისეთს ქვეყანაში, სადაც საპარლამენტო არჩევნები საბოტაჟით თავდება, სადაც ხალხი ყურს არ ეკარება რა ნიადაგი აქვს ს. რევოლიუციონერების პარტიულ მოღვაწეობას, ან ს. ფედერალისტების.

დემოკრატიისა და დემოკრატიულ იდეების განვითარებაში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თანამედროვე შეძლებულ კლასებს (ხმა მარცხნიდან: ბურჟუაზიას?)

ნ. ნიკოლაძე. ბატონებო, თქვენ ისტორიას თუ იცნობთ, ისიც გეცოდინებათ, რომ ბურჟუაზიამ შექმნა დემოკრატია.

სოციალიზმს დემაგოგიისა და დესპოტიის მეტი არაფერი შეუქმნია

თქვენ თვითონ ამბობთ, რომ თქვენი მიზანია პროლეტარიატის დიქტატურა და ეს ხომ უმცირესობის დიქტატურაა, და ამაში დემოკრატიული არაფერია.

თქვენი პარტიის ძლიერების მიხრეს, — ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ, — ჩემზე უკეთესს თვით თქვენს პარტიაში ვერ იპოვნით.

ჩემი და ჩემი პარტიის ინტერესია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა.

რისთვის ღალატობთ ერისა და დემოკრატიის ინტერესებს? რად აღვივებთ **სამოქალაქო ომის ცეცხლს?**

მე პირადათ დიდ პატივს ვსცემ ჯუღელსა და სახალხო გვარდიასაც, მაგრამ ის, როგორც სამხედრო ძალების წარმომადგენელი არ უნდა გამოდიოდეს ამ ტრიბუნიდან და მით უმეტეს არ უნდა ჰქმნიდეს სამოქალაქო ომის ატმოსფერას.

მე და ჩემს პარტიის სურს ჯარი პოლიტიკურ საქმეებში არ ერეოდეს, მთავრობის სურვილი და კანონიც ასეთი იყო, მაგრამ რატომღაც ეს კანონი დღეს დარღვეულია.

უკანასკნელ ხანების ამბოხება ჩვენს რესპუბლიკაში უნდა ითქვას, რომ „ოპერეტა“ არ იყო, როგორც ეს ჰგონია გაზეთ „ბორბა“-ს.

აქ ადგილი ჰქონდა დიდი მაშტაბით განზრახულ აჯანყებას, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ ჯერ-ჯერობით მარჯვეთ ჩააქრო იგი.

ოპოზიციის შენიშვნებს ადმინისტრატიულ ზომების შესახებ მინისტრი საყვედურად ნუ მიიღებს. ჩვენ გვინდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, სამშობლოს თავისუფლება და ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს დიდი საქმე ჩვენს მთავრობას უნაკლოთ და სასახელოდ გაეკეთებინოს. ჩვენც სხვა არაფერი გვინდა.

ფორმულა გადასვლისა

თავმჯდომარე. კამათი დასრულდა შემოსულია რეზოლიუციის ორი ფორმულა. ს. დემოკრატებისა და ს. რევოლიუციონერების. კენჭის ყრის შემდეგ ხმის დიდი უმეტესობით გავიდა ს. დემ. რეზოლიუცია.

ქართული ლატარია

ლატარიის საზეიმო გათამაშება დაიწყო ნაშუადღევის 1 ლ საათზედ.

ავანსცენის გრძელ მაგიდასთან სხედან მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის, ფინანსთა სამინისტროს და პრესის წარმომადგენლები და ლატარიის გამგეობა.

მარჯვენით სეკრეტარიატი.

მაგიდის წინ, ამაღლებაზედ გამართულია სამი ურნა: მარჯვენა ურნაში აწყვია სერიის № ები, მარცხენაში ბილეთების № ები და შუაში მოგების რაოდენობა.

ნაშუადღევის სრულ 1-ლ საათზედ ლატარიის გამგეობის თავმჯდომარე პროფ. ივ. ჯავახიშვილი ბეჭდავს ლუქით დარჩენილ ბილეთებს და კითხულობს ოქმს...

პარტერი და ლოჟები სდუმან..

ურნებთან მოდიან პატარა ბავშვები ქართულ ტანთსაცმელებში...

გათამაშება იწყება:

პატარა ბავშს ამოაქვს ურნიდან 1-ლი ბილეთი და მოაქვს მაგიდასთან; ბილეთებს ხსნის ნოე რამიშვილი.

1-ლი მოგება ასი მანეთი.. მე-ორე, მესამე და ერთხანს ასიანები ამოდიან.. მომგებიანი № ები თავ პატივს იდებენ:

500 მანეთი! საზოგადოებაში მეტი კმაყოფილება მოსჩანს ყველას მოუთმენლობა ეტყობა —25 ათასი მანეთი!.. აცხადებს რამიშვილი და საერთო ტაშით უპასუხებს თეატრი.

გათამაშება გრძელდება საღამომდე. ურნებს ისევ ბეჭდავენ მეორე დღისთვის. გათამაშება ალბათ სამს დღეს გასტანს.

გუშინ სამ საათამდე ჩვენი გაზეთის გამოსვლის დრომდე, უდიდესი მოგებანი ხვდათ შემდეგ №-ებს:

სერიამ № 148 ბილეთმა № 480 მოიგო 25,000 მან. სერიამ № 43 ბილეთმა № 30 მა 5,000 მან.

დანარჩენი მოგებანი ჯერ-ჯერობით თითო ბილეთი 500 მანეთს არ აღემატებიან. დაწვრილებითი ნუსხა მომგებიან ბილეთებისა, ჩვენი გაზეთის უახლოეს № ებში დაიბეჭდება.

საუბარი ბ. ევგ. გეგეჭკორთან

გაზ. „პენიდილენიკი“-ს თანამშრომელს ბ. კამსკის ხანგრძლივი საუბარი ჰქონია საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ევგ. გეგეჭკორთან; რომელსაც სხვათა შორის შემდეგი უთქვამს:

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა

— როგორია საქართველოს დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა?

— საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა ისეთივე გაურკვეველ პირობებშია, როგორც ყველა დანარჩენი ახალი რესპუბლიკებისა. დღეს ჩვენი მეცადინეობა იმაშია, რომ როგორმე განვამტკიცოთ ევროპასთან დამოკიდებულება, რომლის წარმომადგენელნიც ჩვენში იმყოფებიან.

ჩვენი დელეგაციის მუშაობა პარიზში.

ამავე გაურკვეველ პირობებში უხდება მუშაობა ჩვენს დელეგაციას პარიზში. დელეგაციის მთავარი ყურადღება დღეს იქით არის მიქცეული, რომ როგორმე განამტკიცოს ეკონომიური დამოკიდებულება ჩვენი რესპუბლიკისა საფრანგეთთან. უნდა აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში საფრანგეთი დიდი ინტერესით ეკიდება საერთოდ ამიერ-კავკასიასა და კერძოდ საქართველოს.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი დელეგაცია მარტო ეკონომიურ მოტივებით შემოიფარგლავდა თავის მოქმედებას. დელეგაცია უთუოდ უნდა ისარგებლოს ყოველნაირ ხელსაყრელ პოლიტიკური მომენტით საქართველოს სასარგებლოდ და მიაწოდოს უცხოეთს სწორი ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის შესახებ: ჯერ-ჯერობით ჩვენი დელეგაციის მუშაობა ლაბირინტშია.

ინგლისელთა ჯარის დაბრუნების შესახებ.

მართალია თუ არა ხმები აზერბაიჯანსა და საქართველოში ინგლისელთა ახალი ძალების ჩამოსვლის შესახებ?

ამის შესახებ ჩვენ არავითარი ცნობა არ გვაქვს.

როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ასეთი ხმები?

მე მგონია ეს ხმები გამოიწვია ბათუმში ახალ საოკუპაციო ინგლისელ მოხალისეთა ძალების ჩამოსვლამ, ძველის შესაცვლელად.

ვიდრე ბრიტანეთის მთავრობიდან არ მოგვივა ოფიციალი ცნობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შუამდგომლობისა ინგლისელ ჯარების გამოგზავნის შესახებ,—მათი ჩამოსვლაზე ლაპარაკი მანამდე ნაადრევია.

ხმები მანდატის შესახებ.

ევროპიულ გაზეთებში ცნობა იყო საქართველოსა და აზერბაიჯანის მანდატს ინგლისს ჩააბარებენო, ისე როგორც ამერიკას სომხეთზე მანდატი ჩააბარეს. რა იცით ამის შესახებ?

არავითარი ოფიციალი ცნობა მის შესახებ არ გვაქვს.

დელეგაცია იტალიაში.

რა და რა დავალება აქვს მთავრობისგან იტალიაში წასულს ჩვენს დელეგაციას?

მჭიდრო პოლიტიკურ ეკონომიურ კავშირის შეკვრა იტალიასთან. ევროპის ბაზარი ისეთ სიცხოველით ეკიდება ამიერ-კავკასიის ბაზარს რომ სპეციალ დელეგაციის გაგზავნა აუცილებელი საჭიროება იყო.

დელეგაცია ყუბანსა და დონში.

ამავე მიზნით ჩვენ ვაგზავნით დელეგაციას ყუბანსა და დონში. დელეგაციამ უნდა გამოარკვიოს თუ რა და რა პირობებში შეიძლება მათთან ეკონომიურ კავშირის შეკვრა. თვითონ ყუბანი მზათაა ჩვენი პირობები მიიღოს. ასეთივე მისწრაფება ემჩნევა დონსაც.

შეუშლის თუ არა ჩვენი დელეგაციის მუშაობას ხელს გენ. დენიკინის ბლოკადა დონსა და ყუბანში.

— რასაკვირველია, მაგრამ მე მგონია დელეგაცია ადგილობრივ გამოარკვევს მდგომარეობას და დაგვაახლოვებს.

დამოკიდებულება ამერიკასთან.

უსათუოდ უნდა ვიყოლიოთ წარმომადგენელი ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რასაც დიდიხანია გრძნობს საქართველოს მთავრობა. თუ ეს ადრე ვერ მოვაწყვეთ ხელს გვიშლიდა ზოგიერთი ტეხნიკური მიზეზები. ეხლა ეს დაბრკოლება აღარაა და ჩვენ ვაგზავნით ამერიკაში ჩვენს წარმომადგენელს დ. ღამბაშიძეს. ამერიკა ძლიერ დაინტერესებულია ამიერკავკასიით.

მოლაპარაკება გენერალ ბარათოვთან.

რა ხასიათისაა გენ. ბარათოვთან მოლაპარაკება?

ეხლა ავტომატიურად შესწყდა ეს მოლაპარაკება გენ. ბარათოვის დაჭრის გამო.

შეწყდება თუ არა იმით შემდეგი მოლაპარაკება?

არა. აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოსალოდნელია კიდევ.

სოჭის ასპარეზი.

როგორი მდგომარეობაა სოჭში?

მდგომარეობა აქ უცვლელია.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი

კონსტანტინეპოლის გაზეთ „Le journale d'orient“ ის ღვინობისთვის 21-ის №-ში შემდეგს ვკითხულობთ:

„გაზეთი „ტან“ აქვეყნებს შემდეგ ცნობას საქართველოს რესპუბლიკის ცნობის შესახებ: „არგენტინის რესპუბლიკის მთავრობამ ცნო საქართველოს სახელმწიფო ფაქტიურად და იურიდიულად. იმ გვარადვე მოიქცა რომის პაპიც, რომელმაც დანიშნა მოციქულებრივი დელეგატი, რომლის რეზიდენტი იქნება საქართველოს სატახტო ქალაქს თბილისში.

საბერძნეთის მთავრობის არა ჩვეულებრივი მისია, რომელსაც მეთაურობს დოკტორი სტავრიდისი, მივიდა საქართველოში. მისიის მეთაურმა განსაკუთრებული კმაყოფილება გამოუცხადა საქართველოს მთავრობას მისი მოპყრობისათვის საქართველოში შეხიზნულ გამოქცეულთ და იქ დაბინავებულ ბერძნულ შთამომავლობის მცხოვრებთათვის“.

იმავე გაზეთის ღვინობისთვის 17 №-ში ვკითხულობთ:

„გენ. ჰარბორდი საქართველოში“. გენ. ჰარბორდი სომხეთიდან ღვინობ. 4-ს ჩავიდა საქართველოში. იგი მიიღო სამხედრო მინისტრის ამხანაგმა გენ. გედევანიშვილმა და სამხედრო რაზმა მუსიკით. მეორე დღეს გენ. ჰარბორდი სადარბაზოდ იყო საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარესთან, ბ-ნ ჟორდანიასთან. აგრეთვე ინახულა რესპუბლიკის მთავრობის სხ. წევრები. შემდეგ ეწვია დამფუძნებელ კრებას, სადაც მას მიესალმა კრების თავმჯდომარე.

ამერიკელ გენ. და მისმა ამალამ გამოაცხადეს, რომ ისინი მეტად კმაყოფილი არიან საქართველოს მთავრობის წევრებთან საუბრით“.

რედაქციისაგან

თანამშრომელთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ თვითეული დედანი უნდა დაიწეროს ქაღალდის ცალ-გვერდზე ხუჩუთად, გარკვეულად. დაუბეჭდავი წერილები არ ინახება გარდა მოთხრობებისა და სამეცნიერო წერილებისა. წერილის ბოლოს, უსაცილოდ უნდა აღინიშნოს ავტორის ვინაობა და მისამართი.

ქრონიკა

◆ **მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ** ნ. ჟორდანიას გუშინ წარუდგა სომხის კლუბის დელეგაცია და სთხოვა კლუბის საზამთრო შენობა, რომელიც რეკვიზიციის სახითაა ჩამორთმეული რუსთაველის პროსპექტზე დაეთმოთ.

◆ **უორდროპის განმარტება.** ინგლისის მისიამ გარეშე საქმეთა სამინისტროს შემდეგი წერილი გაუგზავნა: ბ-ნი უორდროპი სალამს უძღვნის საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს და მისი მემორანდუმის პასუხად გენერალ კორის განცხადების შესახებ მოახსენებს, რომ შავი ზღვის არმიის მთავარსარდალმა ნამდვილად იცის, რომ გენერალ კორის სევასტოპოლში იმის მსგავსი არაფერი განუცხადებია, რაც მას თბილისის პრესამ მიაწერა. ბრიტანიის ჯარების მთავარსარდალმა არაფერი იცის იმ პროკლამაციის შესახებ, რომელიც თითქოს პოლკოვნიკ როლანდსონს გამოეშვას და ფიქრობს, რომ ეს ხმები უსაფუძვლოა.

◆ **გენ. მურის გაცილება.** ამერიკის პოლიტიკურ მისიის თავმჯდომარე გენ. ვ. კ. მური პარიზს გაემგზავრა. მის გასაცილებლად სადგურზე იყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ბ. რამიშვილი, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ბ. ქარცივაძე, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ. გედევანიშვილი, საგარეო მისიების კავშირის თავმჯდომარე გენ. ჯაფარიძე მისი ამხანაგი პრინცი მიურატი, საგარეო საქმეთა სამინისტროს დირექტორი ბ-ნი მაჩაბელი და პოლკ. მელიქიშვილი.

— გუშინ გენ. მურისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო ბ-ნ გეგეჭკორმა: „ვსტოვებ რა ჩემდასანწუხაროდ საქართველოს, მსურს ერთხელ კიდევ გადაგიხადოთ მადლობა ყველა იმ პატივისცემისა და ყურადღებისათვის, რომელიც თქვენ მე აღმომიჩინეთ და ვუსურვო საქართველოს ყოველივე სიკეთე.

◆ **ვასილ ბარნოვის** საიუბილეო კომისიის მორიგი კრება დანიშნულია დღეს, გიორგობისთვის 4-ს, „ნაკადულის“ რედაქციის ბინაზე საღამოს 7 ს. ვთხოვთ კომისიის ყველა წევრებს კრებას უსათუოდ დაესწრონ.

◆ **ტყვე-გერმანელთა გაცილება.** შაბათს, ნოემბრის 1, თბილისის გერმანელთა კლუბში საქართველოს გერმანელებმა გასაცილებელი საღამო გაუმართეს გერმანიაში მიმავალ ტყვეებს საღამოზე მიწვეულნი იყვნენ სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. სამშობლოში მიმავალ გერმანელებმა თავის სიტყვებში აღნიშნეს, რომ მათ არასოდეს დაავიწყდებათ საქართველო და მისი სიკეთე, რომელსაც გულის ტკივილითა სტოვებენ, და სადაც მათ უკიდურეს გაჭირვების დროს თავი შეაფარეს, როგორც საკუთარ სამშობლოში.

◆ **„შევარდენში“.** ნოემბრის 1-ს „შევარდენის“-ს სახ. დარბაზში გამართა საგიმნასტო საღამო, სადაც შევარდნებმა საინტერესოდ შეასრულეს ეგრედ წოდებული ცოცხალი სინემატოგრაფი.

— კვირას „შევარდენში“ გაიმართა საფეხბურთო შეჯიბრება, რომელზედაც გამარჯვება „შევარდენსა“ ჰხვდა.

— ტენნისის კლუბში სტენნისო შეჯიბრების დროს პირველი ჯილდო მიიღო შევარდენმა ქალმა მედეია ლამბაშიძემ.

სამხატვრო ქრონიკა
თეატრი და მუსიკა.

— **სახელმწიფო თეატრი.** დღეს, ზალიპსკის მონაწილეობით „ჰოფმანის ზღაპრები“. ხვალ ალეშკოს მონაწილეობით „ჯავრი“ და ხუთშაბათს „აიდა“.

— **„ტარტო“**-ში დიდი მზადებაა „ჰოფმანსტალის ელექტრა“-ს დასადგმელად. დადგმას ქიხარევა ხელმძღვანელობს. ოთხშაბათს, 5 გიორგობისთვეს კომედია „ჩვენი უბნის კომისარი“, პარასკევს 7 გიორგობისთვეს ვინნიჩენკოს „შავი პანტერა“.

— **კონსერვატორიის დარბაზი** 6 გიორგობისთვეს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება კონცერტი (ცნობილ ვიოლონისტ ლევინსკისა საინტერესო პროგრამით.

— **ქართველ მხატვართა საზოგადოების საშემოდგომო გამოფენა.** ქართულ მხატვართა საზოგადოება გიორგობისთვის ბოლო რიცხვებში გამართავს საშემოდგომო გამოფენას. გამოფენისთვის სურათები მიიღება გიორგობისთვის 10—15 ამდე. ვერნისაჟის დღე საგანგებოდ გამოცხადდება.

— **დრამატიული სტუდია** ხვალ, გიორგობისთვის 5-ს ქართული დრამატიული სტუდია თბილისის არტისტიულ თეატრის სადგომში გამართავს ორ წარმოდგენას. ა) „ჰენელე“ ჰერგარტ ჰაუპტმანისა და ბ) „რომანტიკოსნი“ ედმონდ როსტანისა.

პროვინციის ცხოვრება
ბათუმი

„სამუსლიმანო საქართველოს“ შეჩერება. ბათუმის ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფეს. კავშირის მიერ გაზეთისადმი აუტანელი პირობათა წამოყენების გამო დროებით შეჩერდა გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“.

სოფლად

აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა ყრილობა. ყრილობის მომწვევ კომისიისგან სამაზრო ერობამ მიიღო ყრილობის პროგრამა. ყრილობა დაახლოვებით ქრისტეშობისთვის შუა რიცხვებში უნდა შესდგეს.

ვენახის გუთნები. ერობის გამგეობის წევრმა ვ. ფალავანდიშვილმა თბილისიდან ვენახის 13 გუთანი ჩამოიტანა.

„კლიოფკების“ ფიცრები. წავლისხევის ქარხანაში დამზადებული „კლიოფკების“ ფიცრები კიდეც გაიყიდა.

მუღანის საზოგადოების ყოფილ კომისარს. დავით ნავერდიანს 7 ღვინ როცა ის ეკლესიიდან სახლში მიდიოდა ტყიდან თოფი ესროლეს. მოჰკლეს ცხენი, როგორც გამოირკვა ნავერდიანს კომისრობის დროს იარაღის აყრა მოუნდომებია სიმონ ზურაბიანისთვის, რომელიც სიკვდილით დამუქრებია, და რომელსაც ასახელებენ დამხდურად.

ლეჩხუმის მაზრის კომისარი ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ატყობინებს, რომ სვანეთში მცხოვრებ ვ. კორძაიას ცხენის ქურდობა დაუბრალებია მიხეილ გულბანისათვის. ამის გამო გულბანს თოფით დაუჭრია აღნიშნული კორძაია.

სოფ. გულახში მცხოვრებ ზაქარია ყ. გუჯეჯიანს ვასილ გიგანისთვის ცოლი წაურთმევია. ამის გამო ვ. გიგანი დახვედრია გუჯეჯიანს. მათ შორის მომხდარა შეტაკება, რის გამო ორივენი ჭრილობით გარდაცვლილან.

არჩევნები სოფლად.

წვრილ ერთეულის არჩევნები. კურების თემში წვრილი ერთეულის არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატებმა 20 ხმოსნიდან გაიყვანეს 14 ხმოსანი, სოციალ-დემოკრატებმა 4 და დანარჩენმა პარტიებმა კი თითო. **რიონის** თემში იყო საერთო სია, რომელშიდაც კანდიდატებათ თითქმის ყველა ეროვნულ დემოკრატებია. ამ სიამ მიიღო 564 ხმა. ქიკანვილეთის თემში პირველმა ნ-მერმა მიიღო 346 ხმა, მეორემ 184 ხმა და მეხუთემ 104 ხმა.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

ოთხშაბათს, საღამოს 4 საათზე, სახელმწ. უნივერს. მე-2 აუდიტორიაში დანიშნულია პირველი კრება სახ. უნივ. სტუდ. მომღერალთა გუნდისა. დრამატიული წრის მიერ გუნდის ხელმძღვანელათ მოწვეულია სტუდენტი შალვა ბოჭორიშვილი (ჯვარისელი).

დრამატიული წრე ავალებს ყველა თავის წევრთ, ჩაწერილთ გუნდში სამუშაოდ, და აგრეთვე სხვა მსურველ სტუდენტებსაც უსათუოდ გამოცხადდნენ დანიშნულ ვადაზე.

ხუთშაბათს, დილის 11 საათზე, სახელმწ. უნივერსიტეტის მე-2 აუდიტორიაში დანიშნულია სტუდენტ-მსმენელთა დრამატიული წრის ძალთა გამოცდები. გამოცდის დრამატ. წრის ხელმძღვანელი სახელმწ. თეატრის კომისარი ალ. წუწუნავა. დრამატიულ წრის გამგეობა ავალებს თავის წევრებს: მსახიობებს, მომღერლებს, მოცეკვავეებს, მუსიკოსებს, მგოსნებს და მხატვრებს უცილებლად გამოცხადდნენ დანიშნულ დროზე.

—

კვირას, 2 ნოემბერს, შესდგა სახ. უნივ. სტუდენტ-მსმენელთა კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრება. წესდება დამტკიცებულ იქმნა და გამგეობის არჩევნები გადაიდვა მეორე კვირისთვის.

ბათუმის პორტში

20 ღვინობისთვეს, ბათუმიდან გავიდა გემი „ჟანა“ რომელიც გაივლის სამსუნს, სინოპს და ზუნგოლდაგს.

— ამ დღეებში ბათუმში ჩამოვიდა ქართველთა მოტორიანი ნავი „ლინა“ ფრანგების გემი „ჟაინა“ ბერძენთა „პოსსეიდონი“ რუსთა მოტარიონი „ბათუმი“ და ოსმალთა ფელუგა „ასლან“ „ასლან ბახრით“, „კავკასი“ და სხვა.

ძვირფას ისტორიულ საბუთების აღმოჩენა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილმა აუწყა თბილისის სამაზრო ერობის სამმართველოს რომ უკანასკნელთა თხოვნით საზოგადოების მიერ გაგზავნილთ ბ. მოსე ჯანაშვილმა და ავქსენტი აბესაძემ არქივის საჩქაროდ გადასინჯვის დროს აღმოაჩინეს 30 ფუთამდე ძველი ქართული, ქართული ისტორიული საბუთები, რომელთა შორის არის მე-16 და მე-17 საუკუნის მთელი გუჯრები ქართველ მეფეებისა მათთვე ბეჭდებით შემოწმებულნი. ბ. ექვთიმე თაყაიშვილი სთხოვს ერობის სამმართველოს რათა სათანადო ყურადღება მიაქციოს არქივს და გადასცენ განკარგულებაში საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

აზერბაიჯანი

ერობა აზერბაიჯანში.

შინაგან საქმეთა სამინისტროში უკვე შემუშავდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ერობის განკარგულების ხმოსანთა არჩევის პროექტი.

ფრაქციიდან გამოსვლა.

პარლამენტის გახსნის წინ პრეზიდიუმმა მიიღო წერილობითი განცხადება, „ეხრარის“ პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის აბდულ ბეგ ეფენდიევისა, პარტიიდან გასვლის შესახებ. აბდულ-ბეგ ეფენდიევი ერთი გავლენიანი პიროვნებათაგანი იყო თავის „ეხრარის“ პარტიაში, ის მომხრე იყო პარლამენტის ფრაქციათა შორის კოალიციურ მთავრობის შედგენისა, რაშიდაც თავისიანებს ვერ შეუთანხმდა და დღეს უპარტიო მემარცხენეთა შორის მოთავსდა.

ნავთის მრეწველთა საბჭო.

ნავთის მრეწველთა საბჭომ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს განუცხადა, რომ მთავრობის დადგენილებით გირვანქა ნავთის 5 მ. 30 კ. ფასებით შესყიდვა მთავრობისაგან, ნავთის წარმოების საქმეს სრულიად შეუძლებელს ხდის და მოითხოვს ამ დადგენილების დაუყონებლივ გაუქმებას.

ამბროსი პირველი

სვანეთსა და ლეჩხუმში ერ.- ემ. ორგანიზაციების დამაარსებელი და ხელმძღვანელი. გარდაიცვალა ნოემბრის 2 ს 1918 წ.

აზერბაიჯანი და სომხეთი.

25 ღვინობისთვეს სომხეთსა და აზერბაიჯანის მთავრობას შორის საერთო კონფერენციის მოწვევის შესახებ მოხდა ნოტების გაცვლა-გამოცვლა.

უნივერსიტეტი.

სტუდენტთა ბიურო ამ მოკლე ხანში მოიწვევს სტუდენტთა საერთო კრებას სადაც მოწვეული იქნება განათლების მინისტრი უნივერსიტეტში მეცადინეობის შესახებ მდგომარეობის გამოსარკვევად. უნივერსიტეტის რექტორი პროფ. რაზუმოვსკი დღესაც არ ჩამოსულა ბაქოში.

მთიულეთი

დარუბანდისა და თემირ ხანშურის აღება.

უკანასკნელ ცნობების თანახმად აჯანყებულებმა დარუბანდი და თემირხანშურა აიღეს.

ბრძოლა გროზნის სანახებში.

ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ქ. გროზნასთან ღვინობისთვის 20 დან 4 დღის განმავლობაში საშინელი ბრძოლა იყო. ბრძოლა მოხალისეთა ინიციატორობით დაიწყო. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოხალისეებმა მოხსნეს ფრონტი და გროზნისკენ დაიხიეს, ხოლო ჩეჩნებმა აიღეს „ნოვია პრომისლი“, რომელიც გროზნიდან 4 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ბრძოლის დროს სრულიად განადგურდა ყაზახთა სამი ასეული ორი პოლკოვნიკითურთ, და წაყვანილია მრავალი ტყვე. ტყვეთა შორის სჭარბობენ რეალისტები, გიმნაზისტები, და სტუდენტები, რომელნიც ძალით ყოფილან გაწვეული.

სომხეთი

სომხეთის ქალაქთა კავშირი.

ერევნის ქალაქის თავმა შეადგინა წესდება სომხეთის რესპუბლიკის ქალაქთა კავშირისა. წესდების მიხედვით კავშირში შევა სომხეთის ყველა ქალაქები.

კავშირის მიზანი: საკანონმდებლო წესით ქალაქთა თვითმართველობების კომპეტენციის გაფართოება და მათი ფინანსიური მდგომარეობის გამოკეთება. 2) ქალაქის განკარგულებების სომხურ ენაზე შედგენა. 3) ქალაქის თვითმართველობის შესახებ საკითხების გარკვევა და შესაფერი პროექტების შედგენა, 4) სხვა და სხვა საწარმოო ერთეულების ქალაქთა კავშირის ხელში გადასვლა და სხვა.

პოლკოვნიკი რეი.

ამიერ-კავკასიაში მოკავშირეთა კომისარის მოადგილე პოლკ. რეი სომხეთიდან გაემგზავრა თბილისში.

უცხოეთის ამბები
ჟურნალ გაზეთებიდან.

საგაზეთო ფაკულტეტი

ლონდონის უნივერსიტეტში საგაზეთო ფაკულტეტი გაიხსნა დიპლომის მიცემით. ფაკულტეტი იძლევა საზოგადო განათლების და განსაკუთრებულ გამოცდილებას საგაზეთო მუშაობაზე. სავალდებულო საგნებში სხვათა შორის ორი ახალი ენა, სტენოგრაფია და საწერ მანქანაზე მუშაობაა.

საბჭოური გაზეთი ოდესაში

ოდესაში აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა, რომელმაც გამოსცა 1 ლი ნომერი საბჭოს გაზეთის „პრავდა“-სი. ამ მიზეზით რამოდენიმე პირი შეიპყრეს.

ინგლისი და პოლონეთი

ლონდონში ჩავიდა პოლონეთის პრემიერი პადერევსკი ლლოიდ ჯორჯთან სათათბიროდ, აღმოსავლეთ გალიციისა და ბოლშევიკთა წინააღმდეგ საზამთრო კომპანიის საქმეთა გამო. ვარშავიდან მოსული ცნობებით, პადერევსკიმ აღმოსავლელ გალიციაზე ლაპარაკის დროს განაცხადა, რომ ყველა სახელმწიფონი მომხრე არიან გალიციის პოლონეთთან შეერთებისა, გარდა ინგლისისა. პადერევსკი ცდილობს ლლოიდ ჯორჯის თანხმობით განამტკიცოს უფრო მჭიდრო კავშირი პოლონეთსა და ინგლის შორის. პოლონურ სეიმში მიღებულია რეზოლუცია – ეთხოვოს პარიზის კონფერენციას უარჰყოს აღმოსავლეთ გალიციაში დროებით მთავრობის დაფუძნება და მოახდინოს მისი შეერთება პოლონეთთან უკრაინელთა თანასწორობისა და ავტონომიურობის დაცვით.

ინგლისის პოლიტიკა აღმოსავლეთში

კონსტანტინოპოლიდან მოსული ცნობით, ინგლისურ წრეებმა გადასწყვიტეს თავისი პოლიტიკა აღმოსავლეთში შეაკრან ერთ უცვალებელ გეგმად. თანახმად ამ გეგმისა ინგლისი დაიცავს ოსმალეთის დამოუკიდებლობას და წინ აღუდგება საფრანგეთის განზრახვას ოსმალეთის დანაწილებასას.

ინგლისს განუზრახავს თავის პოლიტიკურ ხაზში მოაქციოს ამიერ კავკასიაც, რათა მით შექმნას „შემოუწვესრელი აღმოსავლეთური პოლიტიკური ბარიერი“ მემარჯვენე მაჰმადიანთა პატივისცემით. უკანასკნელი გამოწვეულია ინდოთა წრეების ომახიან პროტესტით, რომ ოსმალეთის განწევრება უსაცილოდ მოახდენს ინდოეთის გამოყოფას მეტროპოლიიდან.

დეპეშები

(საქართველოს დეპ. სააგენ.).

მოხალისეთა ცნობა

სამხედრო მოქმედება

ტაგანროგი ოქტ. 21 (ძვ. სტ.) ასტრახანის მიმართ ზღვის ნაპირას რაიონში მდგომარეობა უცვლელია. მკაცრი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგემ ჩვენ ჯარებს სოლენ ნოე-ზაიმიცე დაატოვებინა. კამიშინის მიმართ. ლოზნოე პობოვ-პესჩანკის ხაზზე მტერი ჩვენი მოწინავე ნაწილების უკან ჩახევას სცდილობდა. მდ. მედვედიცას შესართავის რაიონის აღმოსავლეთით მტერმა აიღო პლეტნიკოვ, პოჩტოვსკი და ზინოვიკი; ჩვენმა ჯარმა ხოპერისკენ დაიხია. სად. ანინსკაიას სამრეთით ჩვენ დონის ნაწილებს მტერმა ფრთებიდან შემოუარა, რის გამოც ანდრეევსკ სატაროვის ფრონტზე დაიხია. ნოვოხოპერსკის ჩრდილო აღმოსავლეთით გენ. კონოვალოვის ცხენოსანმა ჯარმა ოქტომბრის 15 ს. უვაროვკის რაიონში დაამარცხა საბჭოთა 2 პოლკი და საარიერგარდო რაზმი, წამოიყვანა 1700 ტყვე და ხელთ იგდო 6 ზარბაზანი და 16 ტყვიისმფრქვეველი, სულ კი დღის განმავლობაში ოქტომბრის 15 წამოიყვანა 3000 ტყვე და ხელთ იგდო 16 ზარბაზანი და 80 ტყვიის მფრქვეველი. ვორონეჟის მიმართ. ბობროვის და ლისკის ჩრდილოეთით მდგომარეობა უცვლელია. ვორონეჟის დასავლეთიდან ახალი ცნობები არ მოსულა. ორლოვის მიმართ: ელეციდან რკინის გზის გასწვრივ სამხრეთისკენ მოწინააღმდეგე წინ მოიწევს, ჩვენი ჯარი მას აკავებს. ორიოლის და კრომის რაიონში მკაცრი ბრძოლები გრძელდება. ბრიანსკის მიმართ: დმიტროვსკის სახერეხრეთით ბრიანსკ ბობროვის ხაზზე ბრძოლაა. გომელის მიმართ: ად. დესნაზე სროლაა. ჩერნიგოვის მიმართულ მოწინავე ნაწილების შეტაკებაა. ფასტოვისკენ ჩვენი ჯარი წინ მიიწევს, წითლების წინააღმდეგობა სძლია და დეპო დაიჭირა. ბრძოლა გრძელდება. მოგილევ. მხრიდან ახალი ცნობები არ მოსულა.

ვასილ ბარნოვი
(სილუეტი).
(30 წლის იუბილეს გამო)

62 წლის მოხუცი, შუა ტანის. წელში ოდნავ მოხრილი. მხრებ აწეული. თავ დახრით. კუთხეთად ნაკრეჭი ჭაღარისანი წვერი. ხანდახმით პენსნე. მუდამ აციცხლებული მაგიური თვალები. ევროპიულ სამოსში დინჯი,—რიტმიული სვლა-მალური გახედვით. საამოა სამზერად.

მისი მხება არ კმარა ქართველთათვის; საჭიროა მისი „ხილვა“. ხილვა კი უთუოდ გულისხმობს გაგებას სრულ განცდამდე.

ამ საზომით ათვისებული ვ. ბარნოვი ახალი აღმოჩენა იქნება საქართველოსთვის.

ვეცდები ნაკვთურად გავანათო ბარნოვის სულის სასიცოცხლო ხაზები: ბარნოვის არსება უმთავრესად ოთხ რკალში ტრიალებს. თვითეულ რკალში ისეთი შეხამებაა დაცული (ღირებულების მხრივ), რომ თქმა: „ესა სჯობსო“ ძნელია.

პირველ ყოვლისა ბარნოვი ქართველია. აქედან: პოეტი, ისტორიკოსი, და პედაგოგი. „ქართველობა“ მთავარი საწინდარია საქართველოს იდეოლოგიის განმტკიცებისათვის. საქართველოში მეტია: ქართლელი, გურული, კახელი, იმერელი, მთიელი, მეგრელი და სხვ., მაგრამ ქართველი ცოტაა. არ კმარა შვილი მნათობის ახატვა: საჭიროა შვილივეს ერთ ცეცხლში დაწვა და ქართველიც მაშინ იშვება.

ბარნოვი სწორედ სინტეზია საქართველოს ნაწილების. ეს ჭეშმარიტება უბრალოა, მაგრამ მეტად საგრძნობი მომავალ თავისუფალ საქართველოსათვის.

როდესაც „ვეფხვის ტყაოსანს“ კითხულობთ: განიცდით სიმსუბუქეს! ნელნელა იცლებით ნისლიან სამყაროს, უახლოვდებით უხილავს: აბიჯებთ სოფლის „გაღმა“ და ასტრალური სხეული რეალობის სამოსში გევლინებათ. განცდა წუთიერია—გულის ხმიერი.

ასეთივე განცდას იწვევს ბარნოვის პოეტური ისტორიული პოემები.

პოეტობა ბოლოს და ბოლოს ანბანთა შეხამებით და სიტყვათა ხმაურობით უნდა ამოიწუროს. ბარნოვის სიტყვათა კომბინაცია, ამ საზომით, უდავოდ პოეტურია. სიტყვა მისი მჭრელია და ცოცხალი.

სიტყვის სიძლიერე იდეურობით იზრდება და ბარნოვი სწორედ იდეური მწერალია საქართველოში.

ის მწერლობაში ევოლიუციონერია და რეალიზმის გზით განაგრძობს საქართველოს მწერლობას. ძველ მწერლობის და ბარნოვს შუა ჩატეხილ ხიდს ვერ იპოვით. ბარნოვის პოეტური სახე-სურათები ზოგჯერ ანალოგიამდე გაგონებთ ძველთა შემოქმედებას ისე როგორც „ვეფხის ტყაოსნის“ მთელი თავები—„ვისრამიანს“ ამ მხრივ ბარნოვი ქართულ მწერლობის ისტორიაში კენტად დგას. ჯერ გაუშუქებელია ეს მხარე ბარნოვის შემოქმედებისა.

ძლიერი რომანისტი ზედმიწევნით მცოდნეა ქართული ისტორიის. ეს აზრი ნათელია როდესაც კითხულობთ: „მიმქრალი შარავანდედი“ „სახიფათო სიყვარული“ და სხ. მაგრამ საქართველოს სიყვარულის ცეცხლით ანთებულ მოხუცი პოეტური ისტორიით არ კმაყოფილდება! დამუშავებული აქვს: „საქართველოს ისტორია“ (ხელთ-ნაწერი; ლექციებად წაკითხული) უსმენთ და გოცებთ მისი ნათელი საქართველოს ისტორია ხედ. ყველა სადაო საკითხი ორიგინალურად და საბუთიანად მოკვეთილია. ისტორიის მშრალ საბუთიანობას ალამაზებს მისი პოეტური ძლიერი ინტუიცია. სადაც საბუთი ვერ სწვდება, იქ მახვილი გონება ბარნოვის ყოვლის „მგრძნობელობით“ ნაფერი გამოსავალს ჰპოვებს ხოლმე. ასეთია სხვათა შორის: ქართველნი (ქალდეველნი; ქართულ ანბანის წარმოშობის ისტორია და სხ.).

საქართველო ეხლა ერკვევა. საჭიროა ეხლავ სწორი გზის აღება რომ უფსკრულს თავს არ წავაწყდეთ. ვ. ბარნოვი ერთი ამ სწორ გზის ამღებთაგანია: საქართველოს პრობლემა ევროპის ბედით არ სწყდება. საქართველოს უფრო პირ ყოფილი აკვანი: აღმოსავლეთი უნდა იზიდავდეს. ეს ჭეშმარიტება ჩვენში ძალიან ცოტას აქვს შეგნებული. ეს აზრი პოეტურის აშკარაობით ამხილა საქართველოს გრ. რობაქიძემ: „საქართველო ხომ ნატეხია აღმოსავლეთის! ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი აკვანი. ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავსთმობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ“... ეს შეხედულება ბარნოვის არსების ატრიბუტია.

ვ. ბარნოვის ასეთ შეხედულების მნიშვნელობას (საქართველოს ისტორიაზე) აორკეცებს მისი პედაგოგიური მოღვაწეობა. მრავალმა მომავალმა: საქართველოს განმტკიცებელმა უნდა გაიაროს ბარნოვის გონების კონტროლში რაც მეტად მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ბედისთვის.

ბარნოვის მახვილ გონებას აცისკროვნებს საუბრის სამო კილო რომელიც ზოგჯერ ექსტაზში გადადის.

ახალ მიმართულების (ხელოვნებაში) შორიდან თანამგრძნობი ვ. ბარნოვი ერიდება ყოველგვარ პაფოსს. თუმცა უმისოდაც ანდამატობს საზოგადოებაში: ყველას აჯადოვებს მახვილი გონებით, საამო საუბრით, მრავალ განცდილ ცოდნით, და საქართველოს კულტურის სალი ათვისებით.

ბენო გორდეზიანი.

უცნაური სასამართლო

ნაფიცი ვექილის თანაშემწემ ვლად. ემუხვარმა შემდეგი განცხადება წარუდგინა მთავრობის თავმჯდომარეს:

1919 წელს ენკენისთვის 13-ს გაგრაში ეგრედ წოდებულმა სამხედრო საგანგებო სამსჯულომ გაასამართლა გაგრის პორტის კომენდანტი პოდპ. გიორგი სალუქვაძე და ბოცმანი ივანე ბიცაძე და გადაუწყვიტა პირველს 1 ნახ. წელიწადის გამასწორებელი რაზმი ყოველივე ღირსების ახდით და მეორეს კი 1 წელიწადი და 4 თვე.

ვინაიდან იმ დროს მე შემთხვევით გაგრაში ვიმყოფებოდი და არავინ იყო იქ სხვა ვექილი, ამიტომ სახალხო გვარდიის შტაბის დავალებით მე ვიკისრე ზემო აღნიშნული პირების დაცვა.

რასაკვირველია მე არამც თუ ვალდებული არ ვიყავი ამ საქმეში სახაზინო ვექილად გამოვსულიყავი, არამედ ამისი უფლებაც არ მქონია, ვინაიდან ეს იურიდიულის თვალსაზრისით სასამართლო კი არ იყო, არამედ თვით გასამართლება. რაც დაუშვებელია თანამედროვე სახელმწიფოში, როგორიც უნდა იყოს მის ფორმა, მით უმეტეს რესპუბლიკაში შეუწყნარებელ მოვლენას წარმოადგენს.

სახელმწიფოში ყოველი სამსჯულო, ჩვეულებრივი თუნდ არა ჩვეულებრივი, კანონის ძალით უნდა იყოს წარმოშობილი. ჩვენს სახელმწიფოში არც დებულება და არც შტატი არსებობს სამხედრო საგანგებო სასამართლოსი; მართალია გაგრის ფრონტის კომანდირმა, გენერალ გედევანიშვილმა 1919 წელს თებერვლის 21-ს ბრძანება გამოსცა ასეთ სასამართლოს დაარსების შესახებ, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელია, რომ სახელმწიფოში რამდენიც გენერალია იმდენი კანონმდებელი იყოს. გენერალ გედევანიშვილის ბრძანებით ეს სასამართლო სამხედრო პირების მიერ ფრონტზე ჩადენილ დანაშაულობას უნდა არჩევდეს და რაც შეეხება გაგრის კომენდანტს, ის ფოთის ნავთსადგურის მმართველობას ემორჩილება და მისი სამსახური ეს ეგრედ წოდებული ზურგს უკან სამსახურია, (тыловая служба), მაშასადამე გენერალ გედევანიშვილის ბრძანებით რომ ვიხელმძღვანელოთ ის საზოგადო საგანგებო სასამართლოს უნდა გაესამართლებინა, და არა გედევანიშვილის სასამართლოს. მით უმეტეს ითქმის ეს ბოცმანი ბიცაძეზე, რომელიც სამხედრო პირიც არ არის.

გენერალ გედევანიშვილის ბრძანებაში ნათქვამია, რომ სასამართლომ უნდა ისარგებლოს საზოგადო საგანგებო სასამართლოს დებულებით, მხოლოდ იმ ცვლილებებით, რომელიც ფრონტის პირობებით არის გამოწვეული. მაგრამ ბრძანებაში არ არის აღნიშნული თუ ვის შეაქვს ასეთი ცვლილება. მე აი რამდენიც არ ვეძიე, ვერ ვიპოვე ვისიმე მიერ შემუშავებული ცვლილებანი, მხოლოდ აღმოვაჩინე, რომ გაგრის სასამართლოს როგორც უკანონოდ შობილის არავითარი დებულება და კანონი არ სწამდა. მასში არც ეგრედ წოდებული თავმჯდომარე, არც პროკურორი და არც გამომძიებელი არ იყვნენ სათანადო იურიდიულ მომზადებით აღჭურვილნი თავმჯდომარე უბრალო ოფიცერია, პროკურორი ხარაზში ყოფილა სტუდენტი-მათემატიკოსი, ერთი და იგივე დროს საველე შტაბის თავმჯდომარის ამხანაგი და პროკურორად წოდებული, გამომძიებელი ცანავა—უბრალო პორუჩიკია. როდესაც მე მათ შევეკითხე, მიჩვენეთ ის ნომერი „საქართველოს რესპუბლიკი.“, სადაც მოთავსებულია თქვენთვის ასეთ თანამდებობათა მინიჭების შესახებ ბრძანება. მე პასუხად მივიღე

რომ ეს უბრალო არავისთვის სავალდებულო ფორმალობა არისო. საქმეს რომ გავეცანი, ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ქონდა: მე არ ვიცოდი სად, რომელ სახელმწიფოში ვიმყოფებოდი: მე მომაგონდა წიგნებში აწერილი ველურ ხალხების ცხოვრება, რომელნიც ხის ძირში იკრიბებოდენ და იქავე ასამართლებდენ დ მნაშავეებს.

საქმე ოცდა ათ ფურცლისაგან შესდგებოდა და მათში 15 ფურცელი კარანდაშით დაწერილ შავს წარმოადგენდა და დანარჩენი 15 ფურცელი კი რემინგტონზე გადმობეჭდილ თეთრს. აქ იყო უსახელო წერილები, შეუმოწმებელი დეპეშა, ნაგლეჯ ქაღალდზე დაწერილი შენიშვნები. ერთ ალაგას მოხსენებული იყო, თუ რა კითხვა მისცა თავმჯდომარეს ამხანაგმა ხარაშმა ბრალდებულს.

თურმე იმ დროს ბ. ხარაში ეგრედ წოდებული პროკურორი, ეგრედ წოდებულ სამხედრო-საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარეს ამხანაგად ირიცხებოდა და მიუხედავად ჩემი პროტესტისა ბრალმდებლის როლიდან მაინც არ შეიკავა თავი.

საბრალდებულო ოქმში პირველად სისხლის სამართლის ცებულების 377 და 378 მუხლები იყო აღნიშნული რომელიც პარლამენტის მიერ 31 იანვარს გამოცემულ კანონით გაუქმებული იყო. როდესაც მე საქმის გარჩევის წინა დღეს ამაზე მიუთითე, მაპასუხეს, რომ ჩვენ თვითონ არავითარი კანონები არ გვაქვს და თბილის შევეკითხეთ პირდაპირი მავთულით, თუ რომელი მუხლის ძალით უნდა გასამართლდეს ეს და ეს დანაშაულობაო. ეს ანეკდოტი არ არის ეს სინამდვილეა, და ამის საბუთებიც მოიპოვება თბილისის სამხედრო სასამართლოში.

გაიგეს თუ არა, რომ სამსახურის დანაშაულობის შესახებ კანონები გამოცვლილია, მიმართეს ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს და გამომძიებელს ამ ახალ კანონების საძებრად და საბრალდებლო ოქმი გამოსცვალეს. ამ საბრალდებლო ოქმის პირს თან ვარდგენ და თქვენ დაინახავთ, რომ მას საზოგადოთ საბრალდებლო ოქმთან არაფერი აქვს საერთო. მასში აღნიშნულია 17 და 39 მუხლები, მაგრამ არ სჩანს, ამ მუხლების რომელ ნაწილით ასამართლებენ ბრალდებულს. მასთან ერთად არ სჩანს, თუ ვინ არის მოწმეებად გამოძახებული. სასამართლოს თავმჯდომარეს ჯიბეში იდო ჩემს მარწმუნებელთა ყოფილ ვექილის დარიჟანსკის თხოვნა მოწმეების გამოძახების შესახებ, და აღმოაჩინა ეს ქაღალდი მხოლოდ სხდომის დღეს.

მე არ შემიძლია სიტყვებით დავასურათო თუ რამდენად იყო კანონი ყოველ ნაბიჯზე დარღვეული, ამისათვის მთელი ტრაქტატების დაწერაა საჭირო, მხოლოდ როდესაც სასამართლოს კანონის ასეთ დარღვევაზე მიუთითებდი, ეგრედ წოდებულ პროკურორისაგან ერთი და იგივე პასუხს ვღებულობდი: მე კანონები არ ვიცი და ეს არც სავალდებულოა ჩემთვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ერთად ერთი პროკურორი იყო ისტორიაში, რომელიც კანონების დამცველად კი არ გამოდიოდა, არამედ კანონებს არა სავალდებულოდ სთვლიდა.

სასამართლოს დარბაზში ერთი ეკატერინოდარელი ჟურნალისტი იჯდა, იმან სთქვა, რომ ყოველიფერი რაც აქ ვნახე, თუმცა ავერჩენკოს კალამს უფრო შეეფერება, მაგრამ მეც უნდა ვცადო და უსათუოდ გამოვაქვეყნო ეკატერინოდარელ გაზეთებში. ასე სასაცილოდ და სამარცხვინოდ ხდიან ჩვენს რესპუბლიკას მისი არამკითხე და დათვისებური მოსამსახურენი. თუ რამდენად გამასხარებული ქონდათ გაგრელ „მოსამართლეებს“ სასამართლოს ყოველგვარი წესი, ამას თქვენ შემდეგ ფაქტიდან დაინახავთ: როდესაც ვიღაც შანშინმა თავის მატორს სუხუმის მაგივრად სოჩისაკენ მისცა მიმართულება, კამენდანტმა სულაქვაძემ ის დააკავა და ადგილობრივ მთავრობას გადასცა. შანშინი სამაგიეროს უხდიდა და სუხუმიდან დეპეშა გაუგზავნა გაგრის ქალაქის კომენდანტს, რომელსაც სალუქვაძესთან პირადი უკმაყოფილება ქონდა, რომ სალუქვაძემ ქრთამი გამომართვა ათი ათასი მანეთი დონის ფულებითო. სალუქვაძემ განმარტა, რომ მე ქართული ფულები დავახურდავე დონის ფულებზე და ამა და ამ პირებს მივეციო, რომელნიც ამას საჭიროებდენო.

სასამართლოს სხდომის დროს თავმჯდომარემ ჯიბიდან ფულები ამოიღო, მაგიდაზე დადვა და განაცხადა ნივთიერი დასამტკიცებელი საბუთი არის და შევამოწმოთ ეთანხმება თუ არა ფულების ნომრები დეპეშაში აღნიშნულ ნომრებსო. ამაოდ უმტკიცებდი, რომ დეპეშა უბრალო ქაღალდის ნაგლეჯია და საბუთად მაშინ გამოდგებოდა, რომ მის ავტორისათვის ჩვენება ჩამოერთმიათ. ჩვენება მათთვის არავის ჩამოურთმევია, ისინი შემდეგ არც გამოცხადებულან, ახლა კი დენიკინთან არიან, დეპეშა შემოწმებულიც არ არის, და მასთან ერთად ნივთიერ საბუთების შესახებ საქმეში არავითარი კვალი არ სჩანდა. ამ რიგად, ვიღაცეებს ჯიბიდან ფული ამოართვეს, შემდეგ თავის ჯიბეში ჩაიდვეს, სასამართლოს სხდომის დროს ის ფულები ჯიბიდან ამოიღეს, მაგიდაზე დადვეს, და გამოაცხადეს: ეს ნივთიერი საბუთი არისო. ჩემმა პროტესტმა, რასაკვირველია, არ გასჭრა, აი, რას უშვებენ გაგრელი მოსამართლეები სასამართლოს. ის პირები, რომელთაც მე ვიცავდი ასეთ საზღაპრო სასამართლოს წინაშე, ეხლა მეტეხის ციხეში სხედან.

ჩვენს სახელმწიფოში კანონს რომ სათანადო პატივისცემა ქონდეს, მეტეხის ციხის უფროს არც კი შეეძლო მათი მიღება, ვინაიდან მათ შესახებ განაჩენი, კანონიერ სასამართლოს არ გამოუტანია. სისხლის სასამართლოს წარმოების წესის მე-10 მუხლის ძალით ყოველი პროკურორი და მომრიგებელი მოსამართლე ვალდებულნიც არიან ასეთი ტუსაღები ციხიდან განთავისუფლონ.

გაგრელ სასამართლომ ღირსებაც ახადა ჩემს მარწმუნებელთ, მაგრამ არც ერთი კანონიერი სასამართლო ამ განაჩენით არ იხელმძღვანელებს, ვინაიდან საკმარისი არ არის თავის-თავს მოსამართლე უწოდო, რომ ვინმე ღირსება ახადო. მაგრამ მე არ შემიძლია ამით ვინუგეშო თავი, მთელი ჩემი გრძნობა, როგორც მოქალაქისა, სასტიკად შელახულია ასეთი შემაძრწუნებელი ფაქტით.

შეუძლებელია შეურიგდეთ ასეთ მოვლენას, რომელიც შეიძლება მხოლოდ აფრიკულ აშანტიელების სამეფოში ჰქონდეს ადგილი.

ურიათა სახელმწიფო

ლონდონიდან ცნობაა, ლლოიდ-ჯორჯს ჟურნალისტებთან საუბრისას გაუმჟღავნებია, რომ ოსმალეთთან ზავი ახალ წლამდე შეიკვრება. საზავო კონფერენციაზე მყოფ სიონისტების დელეგაციისა და ინგლისის მთავრობის შორის უნარჩევს სახელმწიფოთა თანხმობით შეთანხმება მომხდარია, პალესტინაში ურიათა სახელმწიფოს დაარსებისათვის. ამასთან გამოირკვეულია უფლებანი და მოვალეობანი როგორც ინგლისისა, ისე სიონისტებისა. ტრაქტატს ხელს მოაწერენ ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულობასთან ერთად. ერთდროულადვე იქნება მოწერილი ტრაქტატები ოსმალეთის ყოფილ ნაწილებთან—სომხეთ—მესოპოტამია (შუამდინარე)—არაბეთთან.

პალესტინის მთავრობა.

პალესტინის დროებით მთავრობის მეთაურებად არიან პროფესსორი ვეიცმან (თავმჯდომარე) და დრ. ტომკინ. (თავმჯდომარის ამხანაგი).

ურიული ფულები.

სტამბოლის ბაზარზე პალესტინის ფულებიც გაჩნდა. ურიულ ახალ ფულის ერთეული უდრის ინგლისურ გირვანქას. ტექსტი დაბეჭდილია სამ ენაზე: ურიულსა, ინგლისურსა და არაბულ ენებზე. კრედიტის ბილეთის კუთხეში დავითის ფარია დახატული. მათმა კურსმა ინგლისურ გირვანქაზე 20 პროც. აიწია.

პალესტინის ფულის გამოცემა უზრუნველყოფილია ინგლისურ ბანკით ლონდონში და პარიზში როტშილდის სახელით.

ბოლშევიკები აზიაში

ბოლშევიკები ამ ჟამ მტკიცე ნიადაგს იმზადებენ აზიაში. დიდ ყურადღებას აქცევენ კორეისა და ავღანისთვის აგიტატორთა ჯგუფების შემზადებას. უკანასკნელად ავღანში გაუგზავნიათ ბოლშევიკური სამხედრო მისსია.

მარტიდან მოსკოვში ცხოვრობს ინდო პროფესსორი ბარკუტულა, ავღანის ექსტრაორდინარული დესპანი, რევოლუციურ პროპაგანდის სპეციალისტი, იგი ითვლება ინდოეთის ბოლშევიკ—ესტრაკუნელთა ამბოხების ბელადათ.

— ხარბინიდან იუწყებიან, რომ ხუნხუზები ბოლშევიკებთან ერთად მოქმედობენ.

ჩინელ ავაზაკთა თარეში თავზარსა სცემს ჩინეთის მოსახლეობას.

ია ეკალაძე

(მისი სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის გამო).

წელს სრულდება 25 წელიწადი რაც ქართული მწერლობის ასპარეზზედ ია ეკალაძე (თომაანთ კოზა)—ცინცაძე გამოვიდა.

ია დაიბადა 1872 წელს. სწავლა მიიღო გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სემინარიაში აქედან შემდეგ კი გადავიდა ყაზანის უნივერსიტეტში.

პირველი მისი მოთხრობა დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ 1894 წ. მას შემდეგ იას კალამი არ დაუტოვებია და ახლა დიდი რომანი დაუსრულებია.

ორიგინალურ ნაწერების გარდა მას აქვს თარგმანები შილლერისა, და ერნესტ რენანის წიგნი „ქრისტეს ცხოვრება“.

აღსანიშნავია მისი მოთხრობები და მინიატიურები სუბუქი ქართულით.

ქ. გორში იმან დაარსა გაზეთი „ქართლი“ რაც პირველი მაგალითი იყო ქართლში. მანვე დაარსა ქუთაისში სხვა და სხვა დროს დღიური გაზეთები, როგორც მაგ. „სამშობლო“ რომელიც ქუთაისში გამოდიოდა და რომლის მემკვიდრე დღესაც სცოცხლობს.

რუსის მთავრობა მას სასტიკად სდევნიდა კალმახელიძე მღვდლის სასჯელის გამო, რომ მის ეგზარხოსის წყალობით სიკვდილი მისაჯა, დაბეჭდა პატარა მოთხრობა რითაც დევნა გაიორკეცა.

შემდეგ ამისა 1907 წ. გადასახლებულ იქმნა 3 წლით ლენქორანში სამღვდელოების გაკიცხვის გამო. დღეს იაკობ ცინცაძე შრომობს სამოსწავლო ასპარეზზედ—არის დირექტორად ჩოხატაურის გიმნაზიისა.

ზ. ჭიჭინაძე.

სოფიიდან თბილისამდე

გათენდა ვარნის დილა. .

ქ. ვარნა შავი ზღვის ნაპირას არი გაშენებული და როგორც ნავთსაყუდელს დიდი მნიშვნელობა აქვს ბულგარეთისათვის... ქალაქს აზიური ბეჭედი აზის, ქუჩები ვიწრო და უსწორმასწოროა, მეჩეთები და მინარეთები ქალაქის სილამაზეს აორკეცებენ. შიგა და შიგ კარგი სახლებიც არის ევროპიულ გემოზედ... ზღვის პირზე მშვენიერი ბაღია, სადაც ყოველ საღამოს იმართება სეირნობა.

ჩვენი სასტუმრო მეტად მაღალი შენობაა და ჩვენ აივნიდან სჩანს ზღვაც და ქალაქის დიდი ნაწილიც. აქაური მცხოვრებნი სხვა და სხვა ჯურის ხალხია. სომხებიდან მოყოლებული, ოსმალებით და ბერძნებით თავდება, თუ თვით ბულგარელებს და რუსებს არ ჩავთვლით. როგორც ყველა ნავთსაყუდელში აქაც დადიან მატროსები თავიანთ ლამაზ ფორმაში გამოწყობილნი. ვიწრო ქუჩები სავსეა მათთვის დრო გასატარებელ ბნელ სარდაფებით და ყავახანებით. არც ოსმალნი არიან ამ მხრივ გულნაკლულნი, მათთვისაც ბლომად არის „Кафеджи“-ები, სადაც ისინი დილაობით დროს ატარებენ ყავის სმაში, ნარდის თამაშში, პოლიტიკაზე ბაასით და ოსმალურ გაზეთების კითხვით ..

მზე ამოვიდა. აივნიდან უყურებთ თუ როგორ ილვიძებს ქალაქი. ქუჩაში ხალხი გამოდის და იწყობს ყოველდღიურ ცხოვრებას, იხსნება ყავახანები და დუქნები. მაგრამ ყველა ეს ისე არ გვაინტერესებს, როგორც ზღვის სივრცე, მისი ტალღები, რომლის იქითაც ჩვენი ქვეყანა მდებარეობს... თითქოს ვგრძნობთ კიდეც მის სიახლოვეს.

მართლაც და ზღვის გაღმა საქართველოს ნაპირია! უნდა მხოლოდ ზღვის გადაჭრა და ჩვენ უკვე ჩვენ ქვეყანაში ვიქნებით. აგვისრულდება დიდი ხნის ნეტარი ოცნება და ვიხილავთ სამშობლო ქვეყანას, მაგრამ ზღვის მკერდი აშიშვლებულია და ზედ არც ერთი გემი არა სჩანს. თვით ვარნის ნავთსადგურში ორი დანჯღრეული, პატარა გემი დგას: ერთი „ბორისი“, მეორე „კირილე“, მაგრამ მათზე იმედის დამყარება ტყუილია. ისინი ადგილიდან ფეხს ვერ მოიცვლიან. ისევ უკრაინის გემს უნდა დაუცადოთ, რომელიც ღმერთმა იცის, როდის მოვა. ვდგევართ და ნაღვლიანად გავყურებთ ზღვის კიდეს.

გულმა ვეღარ გაგვიძლო და ჩავსწრით ნაპირზე მდებარე ბაღში, საიდანაც უფრო კარგად გამოჩნდებოდა ზღვის სანახაობა. იქიდან ცარიელ ნავთსაყუდელში წავედით, გავიგეთ საკომენდანტოში, როდის ელოდნენ უკრაინიდან გემს. სოფიაში, უკრაინის დელეგაციაში გვითხრეს, ამ ერთ თვეში უნდა მოვიდეს უკრაინიდან გემი ჯარის-კაცთა დასის წასაყვანად ოდესაშიო და მართლაც ეს უკრაინის ჯარის-კაცები 3 ათასამდე იქნებოდნენ ეხლა ვარნაში. დადიოდნენ ქუჩებში და საბრალო შესახედავნი იყვნენ. ფეხშიშველნი და მშიერნი ელოდნენ ოდესაში დაბრუნებას. მათში ნამდვილი უკრაინელები მესამედი არ იქნებოდა, რადგან ყველა სცდილობდა გაუკრაინელებულიყო, ოღონდ კი სამშობლოში დაბრუნებულიყო და დელეგაციაც არც ისე სასტიკ კონტროლს უწევდა ამას და ყველას ჰგზავნიდა.

ნავთსადგურის საკომენდანტოში გვითხრეს ჩვენ არ ვიცით, როდის მოვა გემი, მიმართეთ ქალაქის საკომენდანტოსაო. დავბრუნდით ქალაქში, სადაც ხალხი თავის ფუსფუსით აზარტში შესულიყო და გაცხარებით ებრძოდა ყოველ-დღიურ ცხოვრებას. ავიარეთ მთავარი ქუჩა, სადაც ძველი მეჩეთია გაშენებული მშვენიერი ხუროთმოძღვრებით და წარწერებით.

მივედით საკომენდანტოში... აქ დანამდვილებით გავიგებდით როდის მოვიდოდა გემი და როდის გაგვგზავნიდნენ... კომენდანტი არ დაგვხვდა და ვიღაც ბულგარელი პოდპორუჩიკი, თავის თანაშემწე, დაეტოვებინა თვის ნაცვლად.

— უკაცრავად, შეიძლება გავიგოთ ტყვეთა წასაყვანათ უკრაინიდან როდის მოვა გემი?

— თქვენ უკრაინელები ხართ?— გვკითხა პოდპორუჩიკმა.

— არა, ჩვენ ქართველები ვართ, კავკასიელნი!

— მერე კავკასია უკრაინის საზღვრებში შედის, რომ ბრუნდებით?

— არა, ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელია, მხოლოდ იმიტომ ვბრუნდებით, რომ უკრაინის დესპანმა ითავა ჩვენი დაბრუნება ჩვენს სამშობლოში. აი, საბუთებიც! —და ყველამ ამოულაგეთ საჩვენებლად. პოდპორუჩიკმა გასინჯა და რა დარწმუნდა ისევ მოგვიბრუნდა.

— კარგი ქვეყანაა, კავკასია? მახსოვს გეოგრაფიაში ვსწავლობდი მის სილამაზეს.

— მობრძანდით და ჰნახავთ! ეხლა კი გვითხარით როდის იქნება გემი.

— გემი, ჩემო ბატონებო, ამ ჟამად არ არის და არც ვიცით დანამდვილებით როდის მოვა. ასე რომ უნდა მოიცადოთ, სანამ მოვიდოდეს ..

იმან ძალიან დაგვღალონა... „უნდა მოიცადოთო“—მაგრამ როდემდის? ნეტა ვიცოდეთ მაინც რამდენი ხანი დაგვჭირდება ლოდინი! მალე უკრაინის ლეგაციიდან მოცემული ფული შემოგველევა და როგორღა ვიცხოვროთ?

ჩვენ აქ ტყვეებს პურს ვაძლევთ დღეში 500 გრამს და რამდენიმე თავ ხახვს. შეგიძლიანთ ესენი თქვენც მიიღოთ გვითხრა მან.

— ხახვზე კი მადლობელი ვართ, ხოლო პურს დიდი სიამოვნებით ავიღებთ.

დაწერა რომელიღაც ფურნეში მისაღები პურის ბარათი სამი დღისა თითოზე და ჩვენც წავედით ფურნის საძებრად.

წავედით სასადილოდ, რომელიც თითოს 5 ლევი დაგვიჯდა! ეხუმრებით 6 ლევს, რომლითაც ძველად ერთ კვირას იცხოვრებდა ცოლ შვილიანი კაცი!..

საღამოთი ისევ წავედით ზღვის ნაპირას ბაღში, რომ იქნებ ზღვამ მაინც ეთქვა ჩვენთვის როდის მიგვიღებდა და როდის გაგვაქროლებდა თავის ტალღებით მეორე ნაპირისკენ!. ყურს უგდებდით მის შხუილს და შიგ გვესმოდა სამშობლო ნაპირთაგან დაბარებული სალამი...

გათენდა მეორე დილა .. ჩაის სმაში ვეყავით ჩვენს მაღალ ბალკონზე, რომ შემოვიდა ყოფილი ჩვენი „Ординарецъ“-ი (მსახური ჯარის კაცი) და გვახარა: დღეს გემი მოვაო... ჩვენ მას უნდობლად შევხედით, რადგან ამ ბოლო დროს ბევრი სხვა და სხვა ხასიათის ტყუილი და მოგონილი ხმები დადიოდა, თუმცა გულში ვნატრობდით ამის გამართლებას. გავათავეთ ჩაი, შევედით ოთახში და ქალაქში წასასვლელად მოვემზადენით, რომ შემოგვესმა ხმა ჩვენი ამხანაგისა, რომელიც აივანზე დარჩენილიყო:

— გემი მოდის, გემი მოდისო!..

ჩვენ რასაკვირველია, მაშინვე გავვარდით აივანზე და მართლაც დავინახეთ ზღვაზე უზარმაზარი გემი, რომელიც უახლოვდებოდა ბულგარეთის ნაპირს... აგერ შეჰყვირა კიდეც, აბოლდა და ზღვაში გაჩერდა გარე რეიდზე. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ღმერთო! და განა ეს სასიხარულო არ იყო? ეს გემი დაგვაბრუნებდა, წაგვიყვანდა აქედან, მოგვაშორებდა ბულგარეთს და სწორედ, თითქოს განგებ გარემოება ხელს გვიწყობდა: დიდი ხანი არ დაგვჭირდა ცდა ვარნაში. სწორედ რომ ბედი გვქონია. რასაკვირველია ჩვენ მაშინვე გავიქეცით ნავთსაყუდელში.

მთელ ქალაქს მოედო უკვე გემის მოსვლის ამბავი და ყველა, ვინც კი დაინტერესებული იყო ამ გემით, მოდიოდა ნავთ-საყუდლისკენ. რუსის ჯარის კაცებიც, რომელთაც არა ნაკლებ უხაროდათ გემის მოსვლა, ფეხშიშველნი გამორბოდნენ გემის სანახავად. არც აქაურმა, სანახაობის მოყვარულმა ბულგარელებმა აუხვიეს გვერდი ამ მოვლენას და წამოვიდნენ საცქერად. გემი ჯერ ისევ ნავთსაყუდლის გარედ იდგა და არ შემოდიოდა, სანამ ნაპირიდან რამდენიმე ბულგარელი მეზღვაური არ მიცურდა მასთან და ნება არ მისცა შემოსვლისა. მალე გემი შემოტრიალდა და მოგვიახლოვდა. გემზე შევნიშნეთ უკრაინული ორ-ფერი დროშა. ხალხი ბევრი იყო ზედ და ყველა ბაქანზე გამოსულიყო: ვიღაც სტუდენტები, ქალიშვილები, ოფიცრები, რაღაც უცხო ფორმაში (ბოლოს გავიგეთ რომ ეს ფორმა უკრაინული ყოფილიყო) და ბლომად ბულგარელნი, რომელნიც ოდესიდან მოდიოდნენ თავიანთ სამშობლოში. გემი ნაპირს მოადგა და გაჩერდა, მაგრამ ხიდს მაინც არ უშვებდნენ ძირს ჩამოსასვლელად, რადგან გადაწყვეტილი იყო ხვალამდე კარანტინი დაეჭირათ... ცქერით რომ გული მოვიჯერეთ დავბრუნდით ქალაქში. გვიხაროდა, ეს უმთავრესი დაბრკოლება (გემის დაგვიანება ან არ მოსვლა) გადალახული იყო და მალე გავემგზავრებოდით ოდესაში. ეხლა ის ღა გვაფიქრებდა, ოდესაში რა შეგვემთხვეოდა და როდის ან როგორ დავბრუნდებოდით საქართველოში...

არჩილ მაჭავარიანი.

(შემდეგი იქნება)

კორესპონდენცია

არჩევნები სოფლად

სოფ. გეზრული. 17 ღვინობისთვეს დაიბარეს გეზრულის და ჩხირაულის ხმის უფლების მქონე (ამ ორ სოფელში ხმის უფლების მქონე ითვლება 796 სული) სოფელ ჩხირაულში წვრილი ერობის ხმოსნების ასარჩევად.

თუმცა დიდი მოუცლელობა იყო, მაგრამ ხალხი მაინც გამოცხადდა.

არჩევნებს თავმჯდომარეობდა აქაური მედუქნე, იქვე იდგა ორიოდე კაცი და გაკვირვებით შეჩერებოდნენ ყუთს; ვაჭარი იწვევდა მათ კენჭის ჩასაგდებად, ისინი ყურადღებასაც არ აქცევდნენ.—აბა რისთვის მოსულხართ, შესძახა მათ უკმაყოფილოდ ვაჭარმა, მათ მიუბრუნეს ზურგი და წავიდნენ.

მე დავყავი იქ ოთხი საათი. ამ ხნის განმავლობაში არც ერთი კაცი არ მიეკარებია ყუთს კენჭის ჩასაგდებად. ნაშუადღევს სამ საათზე მეც დავბრუნდი სახლში. გზაზე, ვისაც კი შევხვდი, ვეკითხებოდი,—რათ არ მოდიან კენჭის ჩასაგდებად მეთქი. ყველას პასუხი ასეთი იყო:—ყველანი მოვდიოდით, მაგრამ, რა კი გავიგეთ მარტო პირველი ნომერი იყო, ყველა უკან დაბრუნდა და აღარც მივედით. ახლა ცოტა მაინც გავიგეთ, კმარა რაც შევცდით, ჩვენ პარტიების არა გაგვეგება-რა, მაგრამ აგვიხსნეს,—ის პარტია თურმე „პოლეტარის“ ყოფილა და „პოლეტარი“, თურმე, უმიწაწყლო, მატანტალა ხალხი ყოფილა, ისინი რა ხეირს დაგვაყრიან ჩვენ,—აღარ ვაძლევთ მაგას კენჭს, გაიგონ.

აღარ ვიცი, როცა ყუთს გახსნიდენ, რა აღმოჩნდებოდა შიგ; არცერთი სხვა პარტიის წევრი იქ არ დარჩენილა, არც ვინმე სხვა, გარდა თავმჯდომარის და ორი მისი ამხანაგისა (სამივე ს.-დ.).

წელს დამფუძნებელ კრების არჩევნების დროსაც ძალიან ცოტა ხმის უფლების მქონე გამოცხადდა ყუთთან; იმავ სოფელში დიდი თოვლის გამო—მე უკანასკნელ დღეს ძლივს მივედი და დაღამებამდის თვალ-ყურს ვადევნებდი; მდივანს სიაში შეჰქონდა ყველანი, ვინც კი გამოცხადდებოდა. დღე უჭირდა მამაკაცებს მოსვლა, თორემ ღამე ვინ შესძლებდა მე დავიხსოვრე გამოცხადებულთა რიცხვი და საღამოს წავედი სახლში. ყუთთან დარჩენ ნაცნობი კოსტა თავის ამხანაგებით. მეორე დღეს, როდესაც გახსნეს ყუთი და დაითვალეს კენჭი, აღმოჩნდა ორჯერ მეტი იმ რიცხვზე, რომელიც იყო წინა დღეს საღამომდი ჩანუსხული.

ზემოური.

ღია წერილი

ვასილ ბარნოვის პატივისმცემელთა საყურადღებოდ

თბილისში მომუშავე ვასილ ბარნოვის საიუბილეო კომისიის გარდა შემდგარია ჯგუფი პატივცემულ მწერლის ნამოწაფართა, მოწაფეთა და საზოგადოდ პატივისმცემელთა, რომელთაც მიზნად აქვთ როგორც ზნეობრივად ისე ნივთიერად პატივი სცენ ძვირფას მწერალს. როგორც საიუბილეო დღეს (9 გიორგობისთვეს) ისე შემდეგისთვისაც - ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ამ ჯგუფის მუშაობაში, შეუძლიან თვის სურვილით მოგვმართოს.

ყოველგვარი შესაწირავი მიიღება მისამართით: გაზეთ „საქართველო“-ს რედაქცია —გ. ლეონიძეს.

P. S სხვა გაზეთებსაც ვსთხოვთ ეს წერილი გადაბეჭდონ. გ. ლ.

მიმოსვლა

სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ.

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს. 5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს. 7 წ.
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს. 4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს. 56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს. 30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს. —
ფოთიდან	№ 4	საღ	8 ს. 45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს. 10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს. 30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს. 06 წ.

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

№ 8	საღამოს	6 ს. 5 წ.
№ 6	შუადღის	2 ს. 32 წ.
№ 4	საღამოს	9 ს. 50 წ.

მოდის სალოღლიდან.

№ 3	დილის	7 ს. 27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს. 5 წ.
№ 7	დილის	11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63	შუადღის	2 ს. 40 წ.
№ 61	დილის	7 ს. 52 წ.
№ 19,20	შუად.	3 ს. 26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ.	6 ს. 30 წ.
№ 62	დილ.	11 ს. 24 წ.
№ 64	საღ.	8 ს. 4 წ.

თბილისი-ხანინა

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
საღანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3., ტელეფონის № 17—21.

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. სუმბულაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბერგის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ღვიძლისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი [illegible] და . [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—1 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

[illegible]
[illegible]
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 60 . შეშხაპუნება). ავადმყოფები მიიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვისქუჩა № 3.